საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 17 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.

რედაქციის და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 236

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 236

Тбилисский Филиал Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ქეთო მოსეს ასული, შვილები: ვახტანგ და იოვანე, დედა კესარია ანდრიას ასული და ძმა ანდრო შუბლაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 19 ოქტომბერს, სოფ. დიდ ჯიხაიში ქაშვეთის ეკლესიაზე, 11 ს. დანიშნულია წლის თავი უდროვოთ დაკარგულის ძვირფასის მასწავლებლის

**ნიკოლოზ (კოლია) იოვანეს ძე შუბლაძის**

სულის მოსახსენებლად. (2685—1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი: სერმინე დუნდუასა ჩიქოვანის ასული, აგრაფინა დუნდუასა იაშვილის ასული, დომენტი დუნდუა, ვერ ჯორჯიკიასა, ელენე ლაბარტყავა, ნიკო ჯორჯიკია და ისიდორე ლაბარტყავა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 19 ოქტომბერს (წიფიბისთვეს) ს. საჭილაოში წმინდა გიორგის ეკლესიაში იქნება გადახდილი ერთი წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის შვილისა, მეორის ძულისა, მესამის დისა და ორ უკანასკნელნის ცოლის დისა

**მინადორა (ბრილიანტა) დუნდუას ასულის**

სულის მოსახსენებლად. (2704—1—1)

უზომოთ დამწუხრებული მასწავლებელი კორნელი პორფილეს ძე ჯულელი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რო შაბათს, 18 ნოემბერს, სვირის წმ. გიორგის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი მეუღლის ყოფილი მასწავლებლის

**მარიამ ნიკოლოზის ასული**

და ერთად ერთი შვილის ქუთაისის რეალური სასწავლებლის 5 კლ. მოწაფის

**დათიკო კორნელის ძის ჯულელის**

სულის მოსახსენებლად. (2707—1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები: კესარია და მათე, ძმები: სევერიან, სარდიონ და ვალოდია, დები: კალენტი, ლიუბა მარინე, თამარა, ნინა და შუშანიკა აცნობებს მოკეთეებს და ნაცნობებს, რომ 18 ოქტ. ს. ზემო აკეთში დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულათ დაღუპულ სახალხო გვარდიის განსაკუთრებულ ბატალიონის უფროსის

**სიმონ მათეს ძე ხუხუნაიშვილის**

სულის მოსახსენებლათ. (2709—1—1)

გამოუთქმელ მადლობას ვუძღვნი მოქალაქე ნო გლახუნისძე სიხარულიძეს, რომელმაც კეთილ ინება და ერთ დროული დახმარების სახით 1000 მანეთი შემეწია, ახლად განსვენებულ ჩემი ქმრის

**სვიმონ მაქსიმელის ძე გიორგაძის**

სიკვდილით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად და იკისრა განსვენებულის ობლების სწავლის ხარჯების დაფარვა. პატივისცემით.

ილატიონ გიორგაძისა. (2708—1—1)

დიდ მადლობას ვუძღვნით სასტუმრო „ნოეს“ არტელის წევრებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და ახლად განსვენებული ჩემი ქმრის

**სვიმონ მაქ. გიორგაძის**

გარდაცვალების გამო ცხოვრების სახსარს მოკლებულს მის ოჯახს გამოექომაგენ და აღუვითქვეს მის ქვრივ ობლებს რამდენიმე თვით მატერიალური დახმარება. პატივისცემით ილატიონ გიორგაძისა.

(27081—1—1)

1036

## საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენ

საერთაშორისო გორდიოზის კვანძი, რომელიც ხმლის ერთის მოქნევით სურდათ გადაეჭრათ გამარჯვებულ ანტანტის ბელადებს, თანდათან იხლართება და რთულდება. საბედისწერო ილუზიათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, თუ ვისმეს გონია, რომ ვერსალში ზავი შეიკრა და საშინელ საერთაშორისო ომს ამით ბოლო მოეღო. თქმულებაა—საშუალო საუკუნეში ერთმა ჯადოქარმა ავი სულები გამოიწვია, მაგრამ მათი უკანვე განდევნა ველარ შესძლო. ასევე მოუვიდათ მსოფლიო იმპერიალისტებს. ადვილათ შესძლეს იმათ ომისა და სისხლის ავი სულების ჯირითის გამართვა, მაგრამ ვერავითარი ძალითა და შელოცვით ამ საშინელ სულთა ქვესკნელისაკენ უკუქცევა მათ ვერ შესძლეს. რამდენიმე თვის წინად კიდევ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ მსოფლიოს ყავს პატრონი და გამგე პარიზის კონფერენციის სახით. დღეს... დღეს კი არ არის საჭირო დიდი შორს განჭვრეტა იმისთვის, რომ სთქვათ—საერთაშორისო ცაზე ისეთი ნიშნებია, რომ მალე „ძაღლი პატრონს ველარ იცნობს“.

პარიზის კონფერენციას საერთაშორისო სადავე, თუ მთლათ არა, სანახევროთ უკვე ხელიდან გაუვარდა.

კონფერენციის ავტორიტეტს დიდი ზიანი პირველათ რუმინიამ მიაყენა, ანტანტის წყალობით აღდგენილმა პატარა სახელმწიფომ უნგრეთის კითხვაში თავის მწყალობელს სასტიკი ურჩობით მოეპყრა. იტალია გაბუტულია. იაპონია სეპარატიულ პოლიტიკას აწარმოებს აღმოსავლეთში. რუსეთის რეაქციის წარმომადგენელი საზონოვი ისეთი კილოთი უპასუხებს ანტანტას, როგორც „არა მკითხე მოამბეს“. სტამბოლი კონფერენციის წინააღმდეგ აბუზღუნდა, ხოლო თვით სტამბოლს ენვერისა და სხვა ფაშების მეთაურობით ერზერუმი და მისი კორპუსი ომს უცხადებს. ფონ-დერ ჰოლცმა რიგა აიღო, თავის მთავრობას ეურჩება და რუსეთის რეაქციასთან აბამს კავშირის ძაფებს. ამ გვარათ ნიკოლოზისა და ვილჰელმის ტახტის ნანგრევების მობილიზაცია ხდება და ბალტიკის ზღვის ნაპირებზე სულ ახალი კვანძი და კომბინაციები ისახება, სახელდობრ, აღმოსავლეთ და შუა ევროპაში საერთო ძალებით რესტავრაციის მოხდენა, საერთაშორისო გადაჯგუფება, რუსეთ გერმანიის კავშირი, პოლონეთის არტახებში გაკვრა და შეიძლება მისთვის მეთვრამეტე საუკუნის ბედის გამეორებაც, ლატვიაში მთავრობის სოციალდემოკრატიის ხელში გადასვლა. ბელაკუნს ავსტრია გაცემას არ უპირებს. გერმანია და მისი მართველი პარტიის ორგანო „ფორვერტსი“ კარგა ამოხმით ებაასება ანტანტას—კმარა, შესდექით, ბატონებო, იცოდეთ რომ ჯერ არ მომკვდარვართ და არც გვძინავსო—პარიზის გაზეთები უკვე კამპანიას ეწევიან იმის სასარგებლოთ, რომ ფრანკფურტი-მაინზე დაპყრობილ იქნას მოკავშირეთა ჯარების მიერ და მით გერმანია იძულებულ ჰყონ ანტანტის ბრძანებებს დაუმორჩილდეს. ელზას ლორენში და საარის ოლქში მღელვარებაა. ინგლისსა და საფრანგეთის შორის გულძვირობა უკვე ფაქტია და სხვა და სხვა. ყველაფერი ეს ხდება მსოფლიოს სოციალურ და ეკონომიურ აფორიაქებულ ნიადაგზე. და ამის შემდეგ რომელ გულუბრყვილოს შეუძლია სთქვას, რომ საერთაშორისო ომი უკვე გათავდა, მსოფლიო დგება თავის ნორმალურ კალაპოტში. ო. დიდი ამბები და საშინელი განსაცდელები კიდევ წინ არის. არ შეიძლება ჩვენი რესპუბლიკის გემი ასცილდეს ამ მორევთა ტრიალს. საშიშ და საპასუხისმგებლო მომავალს უნდა ახლავე ანგარიში გაეწიოს. მზადება ახლავე. დღისით და ღამით. დაუღალავი და თავდადებული მუშაობა. ხალხის მთელი ძალღონის მობილიზაცია და ორგანიზაციულათ მოწყობა. მეტი სიმტკიცე და ერთობა შიგნით. სახელმწიფო ხომალდის გულდასმით შემოწმება, დენა ხომ არსად არის? ამ ომალდის მჭიდროთ და მტკიცეთ შეკვრა, რომ ის ჩამოსხმულს, მონოლიტს გავდეს.

ორიენტაცია საერთაშორისო დემოკრატიისაკენ, მაგრამ იმავე დროს კეთილ განწყობილება და ეკონომიური მოკავშირეობა შესაფერ გარეშე ძალასთან. ასეთი უნდა იქნეს ჩვენი მოქმედების საერთო ხაზი და უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალ წარღვნაშიაც მშვიდობიანათ გადარჩება საქართველოს ხალხის კიდობანი—მისი დემოკრატიული რესპუბლიკა.

## კოოპერატიული ყრილობა

კოოპერატიული ყრილობა დასრულდა. ყრილობამ მთელი კვირა იმუშავა და მრავალი მნიშვნელოვანი საკითხები გაარჩია.

ყრილობა მეტად მრავალ-რიცხოვანი გამოდგა. გამოცხადდა 432 დელეგატი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხიდგან. მათ თან მოიტანეს და ერთმანეთს გაუზიარეს ყველა ის პრაქტიკული საკითხები, რომლებიც წინ ეღობება მათ მუშაობას და ყრილობამაც სათანადო ყურადღებით და საქმიანობით გაარკვიაგაარჩია ყველა ისინი.

კოოპერატივთა ასეთი სწრაფი ზრდა გამოწვეულია შექმნილი არა ნორმალური პირობებით და რაოდენობას რომ ღირსებაც შეეფერებოდეს—ეჭვი არაა, კოოპერატივები დიდ როლს ითამაშებდენ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებაში. სამწუხაროთ, ზოგი კოოპერატივი, როგორც ყრილობაზე ითქვა, ჯერ კიდევ უბრალო სავაჭრო დუქანს წარმოადგენს, თუმცა უნდა ითქვას, რომ როგორც ცენტრალური გამგეობა, ისე ადგილობრივი კავშირები ყოველივე ზომებს იღებენ, რომ კოოპერატივები სათანადო სიმაღლეზე აიყვანონ და მოაშორონ ყოველივე ის, რაც არ შეეფერება მის ბუნებას და პრინციპებს. და თუ ამ მხრით მუშაობა ცოტა უფრო ფართე და ჩქარი ტემპით განვითარდა, ეჭვი არაა, ჩვენი კოოპერატივები მალე გადახალისდება და თავის სიმაღლეზე დადგება. ამის უტყუარი თავდებია სხვათა შორის ყრილობისადმი ასეთი ინტერესი და მის მუშაობაში ასეთი ხალისიანი და მხურვალე მონაწილეობა.

კავშირის გამგეობას დიდი ყურადღება მიუქცევია ამ ბოლო დროს სხვადასხვა სამრეწველო დარგებისათვის. არც შეიძლებოდა სხვაფრივ. გარეშე ბაზარი დაიკეტა, საქონლის შემოტანა შეუძლებელი გახდა, მოთხოვნილება კი მწვავე იყო და კავშირს არ შეეძლო ამისთვის სათანადო ყურადღება არ მიექცია და აი ისიც შესდგომია ზოგიერთი ისეთი წარმოების მოწყობას, რომელიც დაამზადებს პირველი მოთხოვნილების საქონელს. ყრილობამ მოიწონა ასეთი ნაბიჯები და სპეციალური რეზოლიუციით მოითხოვა ამ მხრით მუშაობის გაძლიერება. კავშირის გამგეობაც, ეჭვი არაა, გამხნევებული ყრილობის ასეთი სურვილით დიდ ყურადღებას მიაქცევს ამ მხარეს. მარა აქ ის საჭიროებს მეტათ დიდ დახმარებას მთავრობის მხრივ და ჩვენ გვჯერა, რომ მთავრობა კიდევაც გაუწევს მას ასეთ დახმარებას.

სხვა საკითხთა შორის ყრილობამ შეასწორა კავშირის წესდების ზოგიერთი მუხლები. ამ შესწორების თანახმად ამიერ-კავკასიის კავშირი გადაკეთდა საქართველოს ცენტრალურ კავშირათ. ყრილობის ასეთი ნაბიჯი სრულიად ლოღიკური იყო, გამოწვეული ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობისგან. ეჭვი არაა, ჩვენი მტრები და პსევდო-ინტერნაც. ერთხელ კიდევ ახმაურდებიან და ჩვენს შოვინისტობაზე და „გათიშვის პოლიტიკაზე“ გოდებას დაიწყებენ. მარა, როგორც ჩვენი პოლიტიკური დამოკიდებულობა არ ნიშნავდა და ნიშნავს ინტერნაციონალური ოჯახიდან გათიშვა-გამოყოფას, ისე, რასაკვირველია, საქართველოს კოოპერატიული კავშირის შექმნა არ ნიშნავს საერთოშორისო კოოპერატიული ოჯახიდან განდგომა-გაშორებას. პირიქით, გაძლიერებული, შეკავშირებული და გამაგრებული შიგნით, ის უფრო ძლიერი მოკავშირე და თანამგზავრი იქნება ყველა კოოპერატიული მოძრაობისა და მასთან ერთად შესძლებს პირნათლათ აასრულოს თავის საპასუხისმგებლო მოვალეობა.

ყრილობა დაიხურა ის. რამიშვილის მშვენიერი სიტყვით, რომელმაც უსურვა ყრილობას მუშაობის გაორკეცება ადგილობრივ და თავის თავდადებული მუშაობით ხალხის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება და ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჩვენი კოოპერატივები კიდევაც გაამართლებენ ამ იმედებს.

განი.

## პრესა

კოოპერატიულმა ყრილობამ „სახალხო საქმე“ აატრაბაბა და თავის ქებით გაბრუებული ჭორებით ლამობს თავის გაბუშმერაზებას.

„რომ არ ყოფილიყო ძალა რუსებისა, სომხებისა და საზოგადოთ ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი, მენშევიკები იწვნევდნენ საოცარ დახმარებას“ (№ 654).

ასე ტრაბახობს „სახალხო“ მაშინ, როცა კარგათ იცის, რომ მათი ხმები თანახმად რეგისტრაციისა მეოთხედსაც არ შეადგენდა. ის იმუქრება კიდეც—შემდეგ კიდევ უარეს დამარცხებას გაჩვენებთო. რა მოხდება შემდეგ, ამას მომავალი დაგვანახვებს, ახლა კი ურჩევთ „სახალხოს“, ისეთ ტყუილს მაინც მოერიდოს, რომელსაც ისე მოკლე ფეხები აქვს, რომ ერთ ქცევასაც ვერ გაივლის.

იგივე „სახალხო“ ამავე ნომერში აცხადებს: ცნობა ლიუცერნის კონფერენციაზე წერეთლის გამოსვლის შესახებ ამოღებული გვქონდა ერევნის დაშნაკელების გაზ. „არაჩიდანო“. ამ ცნობაზე გაზეთმა „საქართველომ“ მთელი წერილი ააშენა: წერეთელი საკუთარ პოლიტიკას აწარმოვებსო.

ჩვენ ეს სიყალბე ავლინშნეთ და უარვყავით. „საქართველომ“ უკან დაიხია და განაცხადა: ცნობა ამის შესახებ „სახალხოდან“ ამოვიღეთო. ამის პასუხათ „სახალხო“ აცხადებს: ჩვენ ეს ცნობა ერევნის დაშნაკელების გაზეთიდან ამოვიღეთო.

„სახალხომ“ კარგათ იცის დაშნაკელების ჩვენდამი განწყობილება, იცის რა ჭორებს თხზავს ჩვენს წინააღმდეგ, როგორც შინ, ისე გარეთ, მარა ის მაინც სარგებლობს მისი ცნობებით და ჩვენს საუკეთესო წარმომადგენელს ხალხთან აბეზღებს. ის არ ერიდება არავითარ წყაროს, ოღონდ კი ის ჩვენს წინააღმდეგ იყოს მიმართული. „სახალხოს“ ალბათ არ გაუკონია, რომ „ორ მოწინააღმდეგეთა შორის ნამუსიც კაი საქონელიაო“.

## დღევანდელი მეგობრები წარსულში

რუსეთ საფრანგეთი ოთხმოციან წლებიდან მეტად დაინტერესებულნი იყვნენ ერთმანეთის შეხვედრითა, მათ შორის მეგობრული განწყობილება დამყარებული იყო. რუსეთს ამ ხანებში ხშირი შეხლა-შემოხლა ჰქონდა ინგლისთან, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე შუა აზიაში და მილიტარიზმის გასაძლიერებლად თუ სტრატეგიული მიზნით რკინის გზის საქმის გასაფართოვებლად, სქელ ჯიბიან სახელმწიფოს დაეძებდა. ამავ ხანებში ინგლის-საფრანგეთს შორის დამოკიდებულებამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო, რომელსაც მთელი რიგი გარემოებათა ხელს უწყობდა: გავიხსენოთ 1882 წ. 11 ივლისს ინგლისის ესკადრის მიერ ალექსანდრიაზე ყუმბარების დაშენა, რომელმაც მთელი აურ ზაური გამოიწვია საფრანგეთში, ანდა ინგლისის მიერ ეგვიპტეს ოკუპაცია, რომელსაც საფრანგეთი თავის საკუთრებად სთვლიდა, ან კიდევ ინდო-ჩინეთის საკითხის ირგვლივ შეხლა-შემოხლა და სხვ. ყოველივე ეს ინგლის-საფრანგეთის ანტაგონიზმს აძლიერებდა. დაუმატოთ ამას ისიც, რომ საფრანგეთს ელზას-ლორენის დაბრუნება დღიურ წესრიგში ჰქონდა მოქცეული და ადვილათ გავიგებთ თუ რისთვის ეძებდა ის ძლიერ მოკავშირეს. ოთხმოციან წლებში რუსეთ გერმანიის დამოკიდებულება საკმაოდ კარგი იყო და რუსეთს არა ერთხელ მიუმართავს სესხისთვის გერმანიისთვის. გერმანიის სალაროც მისთვის ღია იყო. მხოლოდ შემდეგში რუსეთის მილიტარისტულ მადამ წარმოუდგენელი სისწრაფით იწყო ზრდა. ასე რომ მისთვის გერმანიის ფული როდი იყო საკმარისი და აი ბუნგე და ვიშნეგრადსკიმ, იმ დროის ფინანსთა მინისტრებმა ფულით მდიდარ საფრანგეთს მიაპყრეს თვალი. ამას დაემატა ისიც, რომ 1887 წ. გერმანია-რუსეთ შორის უთანხმოებამ იჩინა თავი, რასაც შედეგათ მოჰყვა ის, რომ ბისმარკმა ბერლინის ბირჟას რუსეთის ღირებულების მიღება აუკრძალა. გაბუტულ რუსეთმა იმავ წელს საფრანგეთს ნახევარი მილიონი თოფი შეუკვეთა. ამ დროიდან რუსეთი ერთ წელიწადსაც არ უშვებს, რომ სესხი არ აიღოს საფრანგეთში. მაგ. 1888 წ. ისესხა 500 მილიონი ფრ., 1889 წ. რუსეთმა აიღო ორი სესხი—ერთი 700 მილ. ფრ. და მეორე 1200 მილ. ფრ., 1890 წ. აიღო სამი სესხი—ერთი 360 მილიონ. ფრ. მეორე—300 მილ. ფრ და მესამეც 41 მილ. ფრ., 1891 წ.—ორი სესხი—ერთი 320 მილ. ფრ. და მეორეც 500 მილ. ფრ.

ამ ორ სახელმწიფოთა შორის დაახლოვება 1893 წ. გადაიქცა რუსეთ-საფრანგეთის კავშირათ. საფრანგეთი დიდათ სარგებლობდა ამ კავშირით, განსაკუთრებით ინგლისის წინააღმდეგ. და მართლაც ინგლისი იყო ის სახელმწიფო, რომელიც საფრანგეთის კოლონიალურ ექსპანსიას მთელი თავისი არსებით წინ ეღობებოდა. მათ შორის იდუმალი თუ ცხადი ანტაგონიზმი დიდი ომის დაწყებამდე დღითი დღე იზრდებოდა. შვიდი წლის განმავლობაში მათ შორის აღმოცენდა არა ნაკლებ სამი კონფლიქტისა, რომელთაც ერთი მეორეზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდათ: სიამში, ნიაგარზე და ზემო ნილზე. უკანასკნელ კონფლიქტმა, რომელიც წარმოიშვა პოლკოვნიკ მარშანის ფაშოდაზე დაცემის წყალობით, კინაღამ ორი სახელმწიფო ერთი მეორეს შეატაკა. 1914 წლიდან როგორც საფრანგეთ ინგლისს შორის, ისე რუსეთ-ინგლისს შორის კონფლიქტს თავი არ უჩენია, ყველა ეს სახელმწიფოები ერთად ეწეოდნენ „კაცობრიობის განთავისუფლებას“ პრუსიის მილიტარიზმიდან. როგორც ვიცით, პრუსიის მილიტარიზმის საფრთხე მოისპო. მაგრამ ის კოლონიალური დავა, რომელიც არსებობდა ინგლის-საფრანგეთსა და ინგლის-რუსეთს შორის, არა თუ არ მოსპობილა ომის დამთავრებით, პირიქით, მომავალში მათ შორის არსებული ანგარიშები მთელი თავისი სიგძე-სიგანით წამოიჭიმება. თუ როგორ ადრე საფრანგეთი ან რუსეთი წარუდგენენ ძველ ანგარიშებს ინგლისს ეს, რასაკვირველია, ძნელი სათქმელია. უწინარეს ყოვლისა ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როდის და რა სახით წამოდგება რუსეთი და რამდენათ შესძლებს საფრანგეთი რუსეთის ინგლისის გავლენის სფეროდან გამოთიშვას, რაც საფრანგეთისთვის არსებით ინტერესს შეადგენს. საფრანგეთი ყველა სახელმწიფოებზე უფრო დაინტერესებულია აღადგინოს მთლიანი რუსეთი, რომ გამოიყენოს, როგორც ამას წინა წლებში შვრებოდა, განსაკუთრებით ინგლისის წინააღმდეგ. ერთი შეხედვით ინგლისის პოლიტიკაც მთლიანი რუსეთის აღდგენისკენაა მიმართული, მაგრამ ნამდვილათ ეს ისე როდია.

ინგლისს სურს რუსეთის აღდგენა იმდენათ, რამდენათაც ის შესძლებს მის გამოყენებას როგორც ნედლ მასალის მიმწოდებელის ან რამდენათაც რუსეთის აღდგენით გაიჩენს კარგ ბაზარს, და მეორეს მხრივ ამოიღებს იმ მილიარდებს, რომელიც მას რუსეთში აქვს ჩაყრილი. ძლიერი რუსეთის შექმნა ყველაზე უფრო სწორეთ ინგლისს უმზადებს საფრთხეს მომავალში.

ი. ხალაყაია.

## დამფუძნებელი კრება

14 ოქტომბრის სხდომა.

(დასასრული)

ივ. ჭავჭანიძე (ს.-დ.). დამფუძნებელ კრების წევრმა ბ-ნა ასათიანმა ისე მარტივათ დაგვიხატა ის ანტიქალაქური მოძრაობა, რომელსაც ქალაქ ხონში ჰქონდა ადგილი, რომ თითქოს არაფერი საიმისო არ მომხდარა, რომ ვინმეს დაეჭირა, ან რეპრესიული ზომების მიღება ყოფილიყოს საჭირო. მისი აზრით საქმე უბრალოდ არის: მცხოვრებთ არ უნდათ ქალაქის თვითმართველობა, მორჩა და გათავდა. მიზეზი? მიზეზი მისი აზრით ის ყოფილა, რომ ქალაქმა უზომო გადასახადები შემოიღო. აქ სხვა ქალაქებში მომხდარი ამბებიც მოიხსენია და შეეცადა ხონის მოძრაობა გაემართლებინა სამტრედიაში და სხვა ქალაქებში, მომხდარ ანტიქალაქურ მოძრაობით. ბ-ნი ასათიანი შეჩერდა აგრარულ რეფორმაზედაც. სწორედ ეგ აგრარული რეფორმაა, რომ ყელში გაეჩხირათ ჩვენს ნაციონალ დემოკრატებს და ვერ ინელებენ; ისინი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ სახელი გაუტეხონ აგრარულ რეფორმას და ხალხს შეაძულონ დემოკრატიული მართველობა. ამ მიზნით ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს და საზიზღარ პროვოკაციას ეწევიან ხალხში. განა ჭორი და პროვოკაცია არ არის იმის მტკიცება, რომ მცხოვრებნი ზედმეტად არიან დაბეგვრილი, რომ ქალაქის თვითმართველობაში დიდი შტატია მოსამსახურეების და მათი შენახვა ქალაქისთვის მძიმე უღელი არის? მე ხელთა მაქვს უტყუარი ცნობები ქალაქის მოსამსახურეთა შტატის და ყველა არსებულ გადასახადების. ამ ცნობებიდან თქვენ დაინახავთ რამდენად მართალია ბ-ნი ასათიანის მტკიცება უზომო გადასახადების შესახებ. ქალ. თვითმართველობაში გარდა ქალაქის თავისა და გამგეობის ორი წევრისა, მსახურებენ მდივანი, საქმის მწარმოებელი, გადამწერი, ბუღალტერი, მისი თანაშემწე, მოლარე და ორი მსახური, სულ თერთმეტი კაცი; მთელი ეს შტატი ქალაქს მარიამობისთვეში, სწორედ მაშინ, როდესაც იქ მოძრაობას ჰქონდა ადგილი, უჯდებოდა თვეში, 9,300 მანეთი. თქვენ ხედავთ რომ შტატიც მინიმალურია და მათი ჯამაგირებიც. შეიძლება სხვა გადასახადებია დიდი? ქალაქმა შემოიღო შეფასებითი გადასახადი; კანონი მას უფლებას აძლევს შემოიღოს 2 პროცენტიანი გადასახადი ქონების სრული ღირებულებისა, მაგრამ ქალაქმა აქ 2 პროცენტის ნაცვლად ნახევარი პროც. შემოიღო და თან დაადგინა, რომ ამ გადასახადიდანაც გაანთავისუფლოს ყველა ის, ვისი ქონების ღირებულებაც არ აღემატება 2,000 მანეთს. თქვენ ხედავთ რომ ეს გადასახადიც მინიმალურია, მაგრამ ჯერ ქალაქს არც ეს გადასახადი შეუკრეფია. იქნებ ბაჟებია დიდი? არც ეგ არის მართალი, ბატონებო! ქალაქს საზოგ დო სასწორი; გამყიდველი თუ მყიდველი—შეთანხმების და მინდობით—აქ სასწორით სარგებლობისათვის იხდის: აწონილ ფუთ ყურძენზე 50 კ., ფუთი ყურძენი კი ფასობს 150—200 მ.; პროც. ეგ გადასახადი შეადგენს ერთი მესამედ პროც.—ერთი მეოთხედი პროც. 1 ფუთ ჭირნახულზე ახდევინებენ 10 კ., ჭირნახული კი ფასობს 80—100 მან., ასაწონი გადასახადი შეადგენს 18%—ნახ. პროც. აიღეთ, ბატონებო პირუტყვებით სავაჭრო მოედანი. ქალაქის სასაკლაო და სხვა ბაჟები და თქვენ ნა-

## დღეს

**ბრესტში (საფრანგეთში) გაფიცულთა და ჯარისკაცებს შორის შეტაკება მოხდა. ორივე მხარეზე ბევრია დაჭრილი.**

**მოკავშირეები ფიქრობენ შესწყვიტონ გერმანიისთვის სურსათის მიწოდება იმ დრომდე, სანამ გერმანელები ბალტიის მხარის ევაკუაციას არ მოახდენენ.**

**ლატიშთა მთავრობამ რიგა დასტოვა.**

**საბჭოთა ჯარმა კიევი აიღო.**

**სხვა ფრონტებზე მედგარი ბრძოლებია.**

ხავთ, რომ გადასახადი არ აღემატება $^1/_4$ პროც., ზოგიერთ შემთხვევაში ღირებულების $^1/_{10}$ პროცენტამდეც კი დადის. მერე განა ეგ არის ისეთი დიდი გადასახადები, რომელთაც ხალხი აუჯანყებია? აშკარაა, რომ არა. საქმე ამ გადასახადებში კი არ არის, არამედ იმ პროვოკაციაში და ყალბ ხმებში, რომელთაც ხონელი ნაციონალ-დემოკრატები ავრცელებენ ხალხში. ეგ ვაჟბატონები არწმუნებდნენ ხალხს, რომ თითქო ქალაქს და მთავრობას განზრახვა ჰქონდეს შემოიღოს უთვალავი გადასახადები. ისინი არწმუნებენ ხალხს, რომ თითქოს გადასახადი დაედება ქათამს, კვერცხს, ღორს, ძროხას, ხარს, სახლის ფანჯრებს, კარებს და მრავალი სხვა. თქვენ იცით, რომ არც მთავრობას და არც სხვა ვინმეს არასოდეს აზრათ არ მოუვა თავში ასეთი გადასახადების შემოღება. (ს. კედია ადგილიდან: შალებზე არ არის გადასახადი?) ძალიან კარგი ქენით ბ-ნო სპირიდონ, რომ შალები გამახსენეთ. თვითოეულ შალზე ქალაქი მყიდველს ახდევინებს 2 მანეთს, ხოლო შალი კი ფასობს 300—1000 მანეთამდე. ამ მოგებამ გამახსენა ერთი ახალი პროვოკაცია: ამ ბოლო დროს ხალხში ხმა გავრცელდა თითქო მთავრობა ფიქრობდეს დიდი გადასახადი შემოიღოს იმ დგამ-სავარცხელზე, რომლითაც შალებს ქსოვენ; შეიძლება ბ-ნ კედიას შეკითხვას რაიმე დამოკიდებულება ამ პროვოკაციულ ხმებთანაც ჰქონდეს. მე ვამტკიცებ, რომ ამ ხმებს ავრცელებენ ის ვაჟბატონები; რომლებიც ხონში ნაციონალ-დემოკრატების პარტიის ბურჯებათ და დამაარსებლებათ ითვლებიან. ამ ვაჟბატონთ ჭირივით ეჯავრებათ დემოკრატიული მართველობა და კიდეც ებრძვიან მას ყოველნაირ საშვალებებით. (ხმები მარჯვნიდან: დაასახელეთ) ნუ ღელავხართ, ბატონებო! მე დაგისახელებთ მათ: ეგ პირები არიან ბიკენტი ქუთათელაძე (და არა ვიქტორ ქუთათელაძე, რომელსაც არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა ასეთ გამოსვლებში), რომლის კარნახითაც ძველ რეჟიმის დროს ხონის გიმნაზიის ყოფილმა დირექტორმა ვიუნიკოვმა ჩემზე დანოსიც კი დასწერა, სასამართლოს ყოფილი ბოქაული აბაშიძე, ნამამასახლისარნი და მათი თანაშემწენი და მრავალი სხვა, რომელთაც აგრარული რეფორმის გახსენება შიშის ზარს სცემს. მაგრამ განა მარტო ზეპირათ ავრცელებენ ასეთ სენსაციურ და პროვოკაციულ ხმებს ხონელი ნაციონალ დემოკრატები? მე ხელთა მაქვს გაზეთი „საქართველო" № 188; ვნახოთ რასა სწერს ბ-ნი მარტვილელი, რომელიც საქციზო სამმართველომ, ალბათ „კაი კაცობისათვის" ამ დღეებში მგონი სამსახურიდან დაითხოვა: „თვითმართველობაში 40—50 მდე მოსამსახურეა მოლა ნათალაძე, ლათდვკი,მა კი თვითმართველობის კანცელარიის შტატი გამგეობიანათ ერთად თერთმეტ კაცისაგან შესდგება. ქვევით სწერია: „დღევანდელმა კომისრებმა და ქალაქის მამებმა ათასობით ჯამაგირი გაიჩინეს და მით წელიწად-ნახევარში ქალაქს 400,000 მანეთი დეფიციტი შესძინეს". ეგ ცნობა ყოვლად უსირცხვილო სიცრუეა. ქალაქის თავი 1 მაისამდე 1200 მანეთს იღებდა, გამგეობის წევრები კი 1000 მანეთს თითო; 1 მაისიდან ქალაქის თავი იღებს 1500 მან. გამგეობის წევრები კი 1300 მან. ეგ არის, ბატონებო, ათასობით ჯამაგირი? საიდან გამოჩხრიკა ბ-ნმა მარტვილელმა 400,000 დეფიციტი? ეს ალბათ მისმა სინდისმა იცის, ბ-ნი მარტვილელი გაზეთის ფურცლებზეც იმეორებს ჭორებს დიდი ბაჟების შესახებ „ყველზე, ღომზე, კვერცხზე, ლობიოზე, სიმინდზე" და სხვა. ამას ხომ ვერ ყოფთ უარს ბ-ნო ნაციონალდემოკრატებო? ბ-ნი მარტვილელი საქვეყნოთ აცხადებს, რომ თითქო ქალაქი მუშებს თავშესაფარში ღამის გათევის ქირათ ათ მანეთს ახდევინებდეს. მე კატეგორიულათ ვაცხადებ ამ ტრიბუნიდან, რომ ხონის ქალაქის თავშესაფარი უფასოა და იქ მუშები კაპეიკსაც არ იხდიან; თავშესაფარის მოწყობამდე მუშები ქუჩაში იწვენ წვიმაში და ცუდ ამინდში. რათ დასჭირდა ბ-ნ მარტვილელს ასეთი სიცრუე? იმათ, რომ სახელი გაუტეხოს დემოკრატიულ თვითმართველობას და ნიადაგი მოუმზადოს რეაქციას. ბ-ნი მარტვილელი ბრძანებს, რომ თითქო იმ კრებას, რომელსაც გამოუტანია დადგენილება ქალაქის გაუქმების შესახებ 10—12000 დასწრებოდეს; ბ-ნებო, სულ 10,500 მცხოვრებია ძუძუმწოვარა ბავშვებიანათ ერთად და როგორ შეიძლებოდა კრებას 12,000 კაცი დასწრებოდა?

მოქალაქენო! ვიმეორებ, რომ აქ საქმე არის არა ბევრ ხარჯებში და უზომო გადასახადებში, რომელიც არავის არ შემოუღია, არამედ იმ რეაქციონურ სულის კვეთებაში, რომელსაც ატარებენ ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები. თვითონ ბ-ნმა ილარიონ ქლენტმა, რომელიც ნაციონალ-დემოკრატების ხონის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს, მრავალ პირთა თანადასწრებით ხონის გამოსვლას უწოდა რეაქციონური და ხულიგანური გამოსვლა. ეგევე ქლენტი და მისი ხონელი ამხანაგები კი არიან ამ გამოსვლების მომწყობნი და სულის ჩამდგმელნი.

რომ ეგ მოძრაობა რეაქციონურია, ამის საბუთათ ისიც კმარა, რომ მას სათავეში უდგანან რეაქციონერები. მე მოგახსენებთ ამ მეთაურების სახელსა და გვარებს, და აბა მიბრძანეთ, რომელი მათგანი ყოფილა ოდესმე ხალხის ინტერესების დამცველი? ლუკა ლუკას ძე ბახტაძე; ხონში იგი დღემდე არავის უნახავს საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე. ამ ვექილს აწუხებს თავისი კერძო ინტერესები და არა საზოგადოების გაჭირვება. რევოლიუციის დასაწყისში ხალხმა მოუნდომა მას ჩამორთმევა იმ ადგილის, რომელსაც დღეს იგი ფლობს, ხოლო წინეთ კი ხალხს ეკუთვნოდა.

ეგ ადგილი იყო საეკლესიო მამული და მით ხალხი სარგებლობდა.

ლუკა ლუკას ძე ბახტაძის მამამ მოინდომა ამ ადგილის თავისთვის შემოფარგვლა, მაგრამ ხალხმა არ დაანება; მაშინ მან ყოფილ მეფეს ნიკოლოზ II მიმართა და მისგან მიიღო ეგ მამული საჩუქრათ, ხალხი კი პირში ჩალა-გამოვლებული დასტოვა. ზედ ააგეს სკოლა შემოწირული ფულით. ცოტა ხანს აქ სასწავლებელი იყო, შემდეგ კი კერძო საცხოვრებელ ბინათ გაიხადეს. სწორედ ამ მამულის ჩამორთმევას მოითხოვდა ხალხი (ასათიანი ადგილიდან: ხალხი თუ თქვენ?) დიახ, ხალხი და, თუ ლუკა ბახტაძეს სინდისი შერჩენია, დაადასტურებს, რომ მე დავაწყნარე ხალხი (ხმები მარცხნიდან: ეგ კი ვერ გიქნია კარგი). სწორედ ვერ ვქენი კარგი და ახლა ვწუხვარ, რომ აგრე მოვიქეცი. ეგ გარემოებაა, რომ აწუხებს ბ-ნ ბახტაძეს. ამ ჟამათ აღნიშნულ სახლში ქალაქის სკოლაა მოთავსებული და ბ-ნმა ლუკამ 19 მარიამობისთვის კრების მეორე თუ მესამე დღეს სწორედ ამ სკოლას მივარდა და ქალაქს პარტები კარში გამოუყარა. აბა მითხარით, რომელი რიგიანი კაცი ჩაიდენს ამას? განა ეგ იმას არ ამტკიცებს, რომ ლუკა ბახტაძე თავის თავზე ზრუნავდა და არა მცხოვრებთა ინტერესებზე? შეიძლება იასონ ჩხენკელი იყოს საზოგადო მოღვაწე? ეგ ის ჩხენკელია, რომლის სახლში ქალაქმა საავათმყოფო მოათავსა და მით მისი რისხვა დაიმსახურა. ახლა იგი ლამობს ქალაქის წინააღმდეგ ხალხი აამხედროს და შემდეგ საავათმყოფოს ქონება ქარში გამოყაროს. ერთი მეთაურთაგანია გერასიმე მელაძე. ეგ უკანასკნელი წინათ მამასახლისათ იყო, ახლა სამიკიტნო აქვს, სადაც ყველა ბნელი ძალები იყრიან თავს. თქვენ გემახსოვრებათ ხონზე ავაზაკების შემოსევა; დაჟინებით ლაპარაკობდენ, რომ ამ ავაზაკების გზის მაჩვენებელი და მფარველი ეგ მელაძე ბრძანდებოდაო, მაგრამ საკმარისი საბუთები ვერ შევკრიბეთ, რომ პასუხისგებაში მიგვეცა. იქნებ გიორგი დავითისძე სანაძე იყო ოდესმე ხალხის მოამაგე? ეგეც ნამამასახლისარია; იგი ძველმა მთავრობამ ფულის გაფლანგვისთვის გადააყენა თანამდებობიდან; ამათ მხარს უმშვენებენ მათი ყოფილი თანაშემწენი, რომლებიც დღეს უსაქმოთ არიან და მოკლებული არიან საშუალებას ხალხს ტყავი აძრონ. აი, ბატონებო, ის მშვენიერი თაიგული „საზოგადო მოღვაწეთა", რომლებმაც თავს იდვეს ხონის დემოკრატიის ინტერესების დაცვა. მე ამ ტრიბუნიდან ვაცხადებ, რომ ეგ ვაჟბატონები არიან რეაქციონერები, მათ ვერ მოუნელებიათ დემოკრატიული მართველობა და ეგ არის იმის მიზეზი, რომ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან დემოკრატიული თვითმართველობისა და მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. და აი ამ ხალხს იცავენ ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები; „იცავენ იმათ, რომლებიც პროვოკაციას ეწევიან, რეაქციონურ ძალებს რაზმავენ და ხალხის აჯანყებას ლამობენ მაშინ, როდესაც სიმშვიდე და სიწყნარე საჭირო ჩვენი დამოუკიდებლობის და დემოკრატიულ წესწყობილების გასამაგრებლათ. მე დარწმუნებული ვარ, რომ როგორც ხონის, ისე მთელი საქართველოს დემოკრატია აქედან შესაფერ დასკვნას გააკეთებს და ჯეროვან მსჯავრს დასდებს რეაქციას და რეაქციონერების დამცველ ნაციონალ დემოკრატებს. (ტაში).

**გ. გვაზავა** (ნ. დ.) აღნიშნავს, რომ ჰავჭანიძემ სულ სხვა სფეროში გადაიტანა საკითხი (არსენიძე ადგილიდან: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.) ჩვენ საქმე არა გვაქვს მარტო ხონის საკითხთან, ჩვენ ვიცავთ საჯარო უფლებებს. (კ. ნინიძე: რომელი კანონია დარღვეული?) დარღვეულია საჯარო უფლებები. მინისტრის ამხანაგის პასუხი სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი.

**ლ. შენგელაია** ამტკიცებს, რომ ახალი ქალაქები წარმოიშვენ იქ, სადაც ეკონომიური და კულტურული ცენტრები იყო სრულიად ბუნებრივათ. ანტიქალაქური მოძრაობა კი აიხსნება ს. დ. ყალბი პოლიტიკით.

**ი. ბარათაშვილი** აცხადებს, რომ სოც. ფედერალისტების ფრაქცია ხონის მოძრაობას უყურებს, როგორც რეაქციონურ მოძრაობას. ამ მოძრაობის მეთაურთა დაპატიმრება კი შემცდარ ნაბიჯათ მიაჩნია. ამ მოძრაობის წინააღმდეგ შეიძლებოდა სხვა საშუალებით ბრძოლა: გამგეობის წევრებს უნდა გაეწიათ ანტიქალაქური მოძრაობის წინააღმდეგ აგიტაცია და სხვ. ჩვენი ფრაქცია მოითხოვს დაპატიმრებულთა განთავისუფლებას.

**ალ. ასათიანი.** კვლავ ახალი საბუთებით იცავს თავის შეკითხვას.

წინადადება შედის, სხდომის შეწყვეტის შესახებ.

**რ. არსენიძეს** წინადადება შეაქვს, რომ კამათი ამ შეკითხვაზე გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის, ხოლო სხდომა გაგრძელდეს და განიხილოს დეკრეტი სამხედრო მინისტრის განკარგულებაში საჭირო თანხის გადადებისა—სახალხო გვარდიის საჭიროებისათვის.

წინადადება მიღებულ იქნა.

**ნ. ელიავას** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი, რომლის ძალით სამხედრო მინისტრის განკარგულებაში გადაიდო 10 მილიონი მანეთი სახალხო გვარდიის ხარჯებისათვის. სხდომა დაიხურა 4 ნახევარ საათზე.

## უკანასკნელი ცნობები

**რკინის გზის ლიანდაგის აყრა ნატანებთან.**

ნატანები. ნატანებიდან მიღებულია დეპეშა დღეს, 15 ოქტომბერს 18 საათსა და 50 წუთზე ბოროტ-მოქმედებმა მატარებლის გაცარცვის მიზნით აყარეს რკინის გზის ლიანდაგი სადგ. ნატანების მახლობლათ მე 39 ვერსზე. ამის გამო გზიდან გადავარდა ჩქარი მატარებელი № 8, ორთქმავალი, საბარგო და სამი სახალხო ვაგონი. ორთქლმავალი და ვაგონები მცირეთ არის დაზიანებული. გზა გაფუჭებულია 50 საჟენის მანძილზე. მატარებლის გაცარცვა ვერ მოახერხეს. მოკლულია 2 დამცველთაგანი: აბულდიანი და სალუკვაძე. სხვა დაშავებული არავინაა.

**საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა.**

თფილისი. ოქტომბრის 15. საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს ამიერ კავკასიაში:

„თქვენო აღმატებულებავ! 27 სექტემბრის მატარებლის № 46 დათვალიერების დროს ბათუმისა და ჩაქვის ხაზზე რევიზორმა მახსულიამ აღმოაჩინა კინტრიშის რაიონის მილიციონერი გალბასტიანი, რომელსაც ბილეთი არ ჰქონდა და რომელიც უკვე რამდენჯერმე იყო შენიშნული. რევიზორის წინადადებაზე, რომ მას ბილეთი ან მიმოსვლის ნებართვის მოწმობა წარედგინა, მან უარი თქვა, დაუწყო შეურაცხყოფა და განაცხადა, რომ ის ბილეთს არ აიღებს და თავის უფროსს გარდა, ის აქ არავის არ სცნობს. როდესაც კონდუქტორის ბრძანება მიეცა, რომ მილიციონერი, ჩაქვის სადგურში მიეყვანა და მატარებელი „ზელიონი მისის" ბაქანთან გაჩერდა, გალბასტიანმა მოიხმო მის ახმარებლად იქ მყოფი თავის ამხანაგი მილიციონერი. ამ უკანასკნელმა მიირბინა თოფით ხელში, შევიდა ვაგონში და ორივემ დაუწყეს თოფის კონდახით ცემა რევიზორს და კონდუქტორს. ორივე მილიციონერი გადაეცა კინტრიშის რაიონის უფროსს. ამ უსიამოვნო ფაქტების გამო, მაქვს პატივი გთხოვოთ, თქვენო აღმატებულებავ, მოახდინოთ სათანადო განკარგულება ორივე დამნაშავის სამართალში მიცემის შესახებ. რომ ამ მდგომარეობას ბოლო მოეღოს, სასურველი იქნებოდა, რომ ინგლისელი და ქართველი მცველები დაჰყვებოდენ მატარებლებს ბათუმ-ქობულეთ-ნატანების ლიანდაგზე.

მიიღეთ და სხ. გარეშე საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი.** (ს. დ. ს.)

**ყაბარდოში.**

უკანასკნელ ხანებში ქ. ნალჩიკში არ ყოფილან მოხალისეთა რეგულიარული ნაწილები—წესრიგის დაცვა მინდობილი ჰქონდა მილიციას და ბეკოვიჩის მთავრობის საგანგებო რაზმს. ეხლა ნალჩიკში პლასტუნების ბატალიონი მივიდა. განზრახულია ამ ბატალ. დახმარებით შეადგინონ მე-6 ყაბარდოელების რაზმი. ბატალიონის მოსვლა ნალჩიკში კიდევ სხვა გარემოებით აიხსნება: ანზორთან „მთავრობის" ჯარები სასტიკათ დაამარცხეს. აქ ყაბარდოელები დიდ აქტიობას იჩენენ და მიუახლოვდნენ ნალჩიკს. ბატალიონი ნალჩიკში სდგას და ჯერ ჯერობით არ დაძრულა. სოფლებში ხალხი შიშმა შეიპყრო: მან კარგად იცის, თუ რა ზომებით დაიწყებს ბატალიონი მოხალისეთა მტკიცე მთავრობის ძალა-უფლების დემონსტრაციას—სახელდობრ სახრჩობელითა და როზგებით. („მ. გ.")

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

[illegible]

სამხრეთ რუსეთში შეიარაღებულ ძალების მთავარ სარდლის შტაბის ოფიციალური ცნობა ოქტომბრის 12. ასტრახანის მიმართულებით ზღვის პირად მომქმედ რაზმიდან ცნობები არ მოსულა. ჩორნი იარის მიმართულებით მოწინავე ნაწილების შეჯახებაა. კამიშინის მიმართულებით ოთხი დღის შეუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ მტერი აქტივობას ველარ იჩენს. მას დიდი ზარალი მივაყენეთ. მეზღვაურთა პოლკი ჩვენი კონტრ იერიშებით თითქმის სრულიად გავანადგურეთ. ილოვლინის რაიონი. ილოვლის დასავლეთით მდგომარეობა არ შეცვლილა. მედვეცის დასავლეთით მტერი არჩედუსკენ იხევს. ზემო-დონის რაიონი- მედვედიცისა და ხოპერს შუა მტერი დონის ჩრდილოეთით გადავაგდეთ. ხოპერის დასავლეთით დონის ცხენოსანმა რაზმმა სრულიად გაანადგურა წითელი ჯარის მე 14 დივიზია. 20—30 ენკენისთვის ბრძოლის დროს წამოყვანილი 5000 ტყვე. ხელში ჩავიგდეთ 27 ზარბაზანი და მრავალი ტყვიისმფრქვეველები. ჩვენმა ნაწილებმა ვეშენსკაია - სლონკას აღმოსავლეთით წინ წაიწიეს. ტალოვეს და ბობროვის მიმართულებას: ჩვენი ჯარები აიძულებს მტერს დაიხიოს უკან. დონელები სადგ. ნიკოლსკაია ვორონცოვკაზე გამოვიდნენ. ბობროვის დასავლეთით მტრის შეტევა მოჟაისკოეზე მოვიგერიეთ. ვორონეჟის რაიონი: მტერმა ორლოვსკოე-გრაფსკაიაზე შემოგვიტია. ჩვენი ჯარი წინააღმდეგობას უწევს. ზემლიანსკის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. ტულის მიმართულებით ორიოლის რაიონში სიწყნარეა. დმიტრიევკის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. გომელის მიმართულებით მოწინავე ნაწილების შეჯახებაა. კიევის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. მოგილევის მიმართულებით: მტერი ჩვენ შეტევას სასტიკ წინააღმდეგობას უწევს. ოდესის რაიონში სიწყნარეა.

**ბოლშევიკური პრესის ცნობები.**

**მოსკოვი.** ოქტომბრის 15. ხარატოვი. ოქტომბრის 12. დენიკინის პრესაში თანდათან მოისმის ხმა იმ საშიშროებაზე, რომელიც კავკასიის მხრიდან ემუქრება მას. გაზეთი „ჩერნომორსკი მაიაკ"-ი ამის გამო სწერს: „კავკასიაში მდგომარეობა რთულდება. სულ მოკლე ხანში დენიკინის ზურგს უკან მოსალოდნელია აჯანყდნენ ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი, რომლებსაც მწვანე ჯართან ერთად შეუძლიათ ბოლო მოუღონ მოხალისეთა ჯარის გამარჯვებას.

**კოპენჰაგენი** 12 ოქტ. ლიტვის ვაჭ. მრეწველობის მინისტრმა, პროფესორმა შიმიურმა მიიღო თანამშრომელი. (გამოტოვებულია) და საუბრის დროს განუცხადა მას, რომ პოლონეთთან დიპლომატიური დამოკიდებულება შეწყვეტილა. პოლონელებს არ სურთ საზავო კონფერენციის დადგენილების და გენერალ ფოშის ბრძანების ასრულება. არღვევენ დემარკაციულ ხაზს.

## ხალხთა ლიგა *)

(ისტორიულ-ფილოსოფიური ექსკურსით)

(დასასრული)

ვუილსონისა და ამერიკის მიზანი იყო ვერსალის კონფერენციაზე ევროპაში რესპუბლიკანიზმი დაეცვათ, მაგრამ კლემანსოს ევროპა არ გაჰყვა ამერიკის პრეზიდენტს ამ სახიფათო გზით.

ვუილსონი თავის ხალხთა ლიგის პროექტში კეთილ-საიმედობას უსვამდა პირობათ ყოველ ახალ წევრს ხალხთა კავშირისას; კეთილ საიმედობა კი ისე უნდა გავიგოთ, რომ მოკავშირეებს ძველი შეცდომები არ გაემეორებიათ. 1815 წელს მოკავშირენი თავისუფლების რაინდებათ სთვლიდენ თავიანთ თავს, ისინი ქვეყანას ეფიცებოდნენ, ჩვენ ნაპოლეონის ტირანიიდან უნდა გავანთავისუფლოთ ევროპაო, მაგრამ ნაპოლეონის დაცემის შემდეგ იმავ თავისუფლების მოციქულებმა ბურბონები აიყვანეს საფრანგეთის ტახტზე.

მისტერ ვუილსონსაც გარანტია უნდოდა, რომ ევროპიული დიპლომატია ევროპის ბოლშევიზმისაგან გადასარჩენად რუსეთში რომანოვების ავსტრიაში ჰამსბურგების და გერმანიაში ჰოენცოლლერების მემკვიდრეებს არ დასვამდა ძველ ტახტებზე.

გარდა ამისა კიდევ სხვა გარანტიები იყო ჭეშმარიტი ხალხთა ლიგის შესაქმნელად საჭირო. ევროპის ძლიერება დღეს აზიის, აფრიკის და აუსტრალიის კუთხეებზე ემყარება. მორიგი განწმენდა, რომელიც მისტერ ვუილსონს უნდა მოეხდინა ხალხთა ლიგაში შესასვლელად, ეს იქნებოდა ირლანდიის საკითხის რადიკალურად გადაჭრა, რადგან ვუილსონის ამომრჩეველების ერთი მერვედი ამერიკელ ირლანდიელებისაგან შესდგება და ისინი მოითხოვდნენ ევროპაში ირლანდიის პრობლემის ჯეროვანად გადაჭრას. პატარა ერთეულების პრობლემა დღევანდელ ევროპის კონტინენტზე ნაწილობრივად გადაიჭრა, მაგრამ რას ეტყვით ინდოეთს, სპარსეთს, ჰეჯასს, არაბეთს და სხვ.

ეს პოლიტიკური ერთეულები ხალხთა ლიგის წევრებად ითვლებიან დღეს. არ შეიძლება, რომ კაცმა ეს სიყალბე არ დაინახოს. ჯერ რადიკალურად უნდა გადაეჭრათ ერების ემანსიპაციის საკითხი, შემდეგ იქნებოდნენ ეს სახელმწიფოები ერთა კავშირის ღირსეულ ნაწევრნი. ემანუილ კანტი თავის მარადიულ მშვიდობიანობის ტრაქტატის ძირითად მუხლებში, უწინარეს ყოვლისა რესპუბლიკების შემოღებასა და ერთა ემანსიპაციას მოითხოვს. უკანასკნელი მუხლია ამ თავისუფალ ერთეულების შეკავშირება. ჩვენც ასე და მხოლოდ ამგვარად გვესმის ხალხთა ლიგის მოწყობის საქმე. ბატონსა და მონას შორის შეკრული სოლიდარულობის ხელშეკრულება, ეს მონობის ინსტიტუტის სანქციაა; იურიდიული ხელშეკრულება შეიძლება ორ თავისუფალ და თანაბარ იურიდიულ ერთეულების შორის დაიდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იურიდიული აქტი კი არ გახლავთ, არამედ აქტი ძალადობისა.

ვერსალის ხალხთა ლიგის პროექტში გარდა მოხსენებულ დეფექტებისა ერთი რამეც გამოტოვებულია. ეს გახლავთ ევროპის ხერხემალი, გერმანია. უგერმანოდ ევროპა ვერ იარსებებს. დამოუკიდებლად გერმანიის ინტერესებისა, თვით კლემანსოს ნაჭედობის ხალხთა ლიგას ერთი დიდი საფრთხე მოელის.

დღეს იტალია კარგად ჰგრძნობს, რომ მას საერთო ნადავლი თანასწორად არ უწილადეს. იტალია გერმანულ ავსტრიულ ტიროლზე და ადრიას ნაპირებზე პრეტენზიას აცხადებს. ფიუმეს კონფლიქტმა ეს დაადასტურა. ამ მდგომარეობიდან შეიძლება ახალი ევროპიული კონფლიქტი და ახალი საერთაშორისო დაჯგუფება გამოიწვიოს.

იტალიელები ან გერმანიას მოიშველიებენ სლავიანელ იმპერიალისტების წინააღმდეგ, ან არა და თვით ვაშინგტონისა და ლონდონის პოლიტიკოსები შემოიყვანენ გერმანიას იტალიის საწინააღმდეგო კავშირში.

გარდა ამისა მეორე დიდი კომპრომისი გააკეთებინეს ვუილსონს კლემანსომ და ლოიდ ჯორჯმა: ვუილსონის 14 პუნქტის მე-4 პარაგრაფში გარკვეულა თაა ნათქვამი: „ნაციონალური საჭურველი მინიმუმამდის უნდა იქმნეს შემცირებული".

კლემანსომ კატეგორიულად განაცხადა, რომ არა მარტო საფრანგეთის იარაღის აყრაზე ვერ დათანხმდება იგი, არამედ საფრანგეთს არ შეუძლია ინგლისის იარაღის აყრაზე დასთანხმდესო. სანამდის გერმანია ლიგის გარეშე ეგულება საფრანგეთს, მას არსებითად არც კი შეუძლია იარაღი აიყაროს. ვიდრემდის ამერიკა მოეშველებოდა საფრანგეთს, გერმანელები ომის პირველ წელში პარიზის კარებთან მიდგნენ.

ან ინგლისს როგორ შეუძლია თავის ფლოტს იარაღი აჰყაროს, ერთი რომ ამ შემთხვევაში ინგლისი ახალშენებს დაჰკარგავს, უფლოტოთ ინგლისი გერმანიას ვერ მოიგერიებს, გერმანიას რომ თავი დავანებოთ, ამერიკამ სულ რამოდენიმე თვის წინად განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს, დაუძლეველი არმადა ააგოს.

თუ ხალხთა ლიგა ისეთ ნიადაგზე მოეწყო, რომელზედაც დღეს ევროპა მოქმედობს, ეს ცეცხლის მფრქვეველ მთის მწვერვალზე კარვის აგებას ნიშნავს. კლემანსო და ლოიდ ჯორჯი რომ პრინციპიალურადაც დათანხმებულიყვნენ იარაღის აყრაზე, ტეხნიკურად ეს შეუძლებელი არის. რომელ ძალას შეუძლია კანტროლი გაუწიოს ამა თუ იმ სახელმწიფოში თუ რამდენ ასაფეთქებელ მასალებს, ტანკებსა და ზარბაზნებს ან გემებს აშენებენ?

ამ კანტროლის საშუალებითაც რომ ავირიდოთ სახელმწიფოთა შეიარაღება, განა უკანასკნელმა ომმა არ გვაჩვენა რომ დიდი სახელმწიფოები თვით ომის დროს პოულობენ საუკეთესო დროს ომისათვის მოსამზადებლად.

დღეს ომის და ომის ხელსაწყოს ტეხნიკა ისეთის ფენომენალური სიჩქარით მოქმედებს, რომ, რომელიმე სახელმწიფოს თუ ომი სწადია, ის ომის დროს მოახერხებს ომისთვის მომზადებას.

გერმანიის ძველი გენერლები ამტკიცებდნენ 1917 წ.: ვიდრემდის ამერიკა თავის ლაშქარს გამოგზავნიდეს, ჩვენ პარიზში ვიქნებითო, მაგრამ მოსტყუვდნენ.

საჭირო არის ომისადმი მიდრეკილება აღმოიფხვრას ადამიანობის ფსიქოლოგიიდან. საჭიროა თვით ორიენტაცია და შეგნება გაუმჯობესდეს, თორემ იარაღის აყრით ომი არ მოისპობა. ამერიკის სახელგანთქმულმა ადმირალმა დანიელსმა განაცხადა ამ ორიოდე თვის წინად, ამერიკამ ინგლისისაზე უფრო დიდი ფლოტი უნდა ააგოს, ვიდრემდის ხალხთა ლიგა ფლოტისა და ჯარის საჭიროებას ზედმეტად არ გახდის. ამერიკას ფლოტი სჭირია. ეს გამოსავალი როგორც ჩანს დავით ამერიკის რესპუბლიკანელებმა ყოველ შემთხვევისთვის დაიტოვეს, რადგან ვერც ვუილსონი და ვერც ამერიკის სენატი ვერ დარწმუნდა რომ ძველი ევროპა ბურბონების რესტავრაციის ანალოგიას არ გაიმეორებს მომავალში და ამერიკის ინტერვენციას არ შეუდგება, რათა იქაც მონარქიზმი დაამყაროს. *)

ასე რომ ამერიკის ბურჟუაზიული რესპუბლიკანიზმის მედროშე ვუილსონი არც ისე გულუბრყვილო აღმოჩნდა, როგორც ბევრს ეგონა, მან ყოველ შემთხვევისათვის ხელები გაინთავისუფლა. ვუილსონი რომ ევროპას მოვიდა, მას ყველაზე მეტად სოციალისტები უჭერდნენ მხარს, შეიძლება იგი პირად კარგად ჰგრძნობდა ამ იარაღების სიმძაფრეს. ცხადია, როგორც ამერიკის, ისე ევროპის დემოკრატია ვუილსონთან ერთად იღვწის ევროპის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლაში, თუმცა ვუილსონისა და მარქსის ეტლი საბოლოოდ ერთად ვერ ივლის, რადგანაც მათი სასუფეველი სულ სხვადასხვა პოლიუსებზეა მოთავსებული ვუილსონი ბურჟუაზიის გადასარჩენად მივიდა ევროპაში, მსოფლიო ბურჟუაზიის პოლიტიკურ კატასტროფისაგან დასახსნელად. ვუილსონის გზაა, გზა დიპლომატიური მოლაპარაკებათა, მარქსის იარაღი ისევ ვუილსონის ბურჟუაზიის წინააღმდეგაა მიმართული—ეს არის იარაღი მსოფლიო რევოლიუციისა.

ვუილსონი მშვიდობიანობის, დიპლომატიური გზით ცდილობს ევროპაში „ძველის დანგრევასა და ახალის აშენებას". ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი სცდება, ევროპა ჯერ უნდა გაიწმინდოს რევოლიუციის ემბაზში, უწინარეს ყოვლისა უნდა გაუქმდეს ძველი სახელმწიფო ინსტიტუტები. უნდა მოჰხდეს სრული პოლიტიკური ემანსიპაცია დაჩაგრულ ერებისა.

ხალხთა ლიგა თვით პოლიტიკურად და ეკონომიურად განთავისუფლებულმა ერებმა უნდა შეჰკრან.

ბისმარკი, უდიდესი პოლიტიკური, კომბინატორი, რომელიც ცდილობდა ძველი და ახალი სახელმწიფოებრივი ელემენტების შედუღებას, თვით ისტორიამ გაამტყუნა. ეს დავინახეთ გერმანიის რევოლიუციის პირველ დღეებში.

ვუილსონიც ბისმარკისეულ მოლიპულ გზაზე მიდის. პირველი გენერალური დამარცხება მან კლემანსოსაგან მიიღო ვერსალის კონფერენციაზე.

ევროპის ბებერი ვეფხვი ტრიუმფატორის შარავანდედით შემოსილი მთის მწვერვალზე გადადგა, მაგრამ მწვერვალსა და უფსკრულს შორის სულ ერთი ნაბიჯია.

ფილ. დოქტ. კ. გამსახურდია.

*) ჩვენ როცა ამერიკის რესპუბლიკანიზმზე ვლაპარაკობთ, ჩვენ აქ დემოკრატიული რესპუბლიკა არა გვაქვს სახეში. დემოკრატია და ბურჟუაზია ამერიკაში დღეს ერთ საკითხში იბრძვიან სოლიდარულად. ეს არის ევროპაში რესპუბლიკანობის შემოღება. ბურჟუაზიისთვის აბსოლიუტიზმი არასოდეს არ ყოფილა სანუკველი, რაც გინდ კონსტიტუციონალურიც უნდა იყოს იგი. ამერიკის ბურჟუაზიას სძაგს ევროპის არისტოკრატიული დიპლომატია, სძაგს დაანგარიშე უწევს მას, რადგან ნავთის მეფეები პლებეების წრიდან არიან გამოსულნი, ევროპაში კი თვით როტშილდისთანა ბურჟუები მილიონებს ჰხარჯავენ ბარონების ტიტულების შესაძენათ. ამერიკის ბურჟუაზიას თავისუფალი ასპარეზი უნდა.—ბურჟუაზიული რესპუბლიკა საუკეთესო ასპარეზია ბურჟუაზიისათვის, რადგანაც აქ გვარიშვილობას, ტიტულებს, არავითარი ფასი არა აქვს. ამერიკაში ფასდება მხოლოდ პირადი შრომისა და ინიციატივის უნარი, მარტო ის გარემოება, რომ ისტორიის პროფესორი ვოოდროვ ვუილსონი დღეს მთელ ქვეყანაზე უდიდესს რესპუბლიკის სათავეშია, ამ გარემოების საუკეთესო ილიუსტრაციაა.

*) იხ. „ერთობა" №№ 232, 33, 34, 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ბავშვთა და დედათა დამცველ საზოგადოების დღეა

## დაეხმარეთ უმწეო დედათა და გავშვთა აღზრდის საქმეს

**პარიზი.** ოქტ. 13. „სვენსკა დაგბლადეტ“-ის ცნობით ლიბავზე მყოფმა ლატვითა ნაწილებმა გადასწყვიტეს მოუცადონ ესტონელების დახმარებას. ინგლისის და საფრანგეთის ესკადრის უმეტესი ნაწილი რიგის ყურეში გაემგზავრა. რიგაში საალყო წესები გამოცხადდა. პოლკოვნიკ ბერმონტის ჯარი რიგის ყურისკენ მიიწევს.

**კოპენჰაგენი.** (გაგ.) პოლონელების მიერ ლიტოვცების დევნა არ სწყდება, და ხშირათ ძალდატანების ხასიათი აქვს. პოლონელებმა ძალით მოახდინეს 50,000 ლიტოველის მობილიზაცია და გაგზავნეს გალიციის და უკრაინის ფრონტზე. ვინც მობილიზაციის ბრძანებას არ დამორჩილდა იჭერენ და ციხეებში აგზავნიან. პოლონეთი ძალადობას სჩადის არა მარტო ლიტვაში, არამედ არ არის არც ერთი სახელმწიფო, რომელთანაც პოლონეთს მტრული განწყობილება არ ჰქონდეს. ყველა ეს სახელმწიფოები იძულებულნი არიან დაიცვან საზღვრები პოლონეთის ჯარისაგან, რომელიც არა პოლონელებს ძლიერ ცუდათ ეპყრობიან. კითხვაზე, თუ როგორ უყურებენ მოკავშირეები პოლონეთის მილიტარისტულ პოლიტიკას, მინისტრმა უპასუხა: მოკავშირეებს, არა ჰყავთ რეალური ძალა და ამიტომ არ შეუძლიათ გავლენა იქონიონ პოლონელების დამპყრობელ ჯარებზე.

**ნაუენი,** ოქტ. 14. ბრესტში (საფრანგეთი). ოქტ. 12 ქუჩებში შეტაკება იყო. გაფიცულები წითელი დროშებით ქუჩებში დადიოდენ და იძახოდენ: „გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა მთავრობას“ დემონსტრანტები ჯარის კაცებს აქეზებდენ, ნუ დაემორჩილებით უფროსებს. ჯარსა და დემონსტრანტებს შორის შეტაკება მოხდა. ორივე მხარეზე ბევრია დაჭრილი. გაფიცვები რევოლიუციონური ხასიათისაა.

**ბერლინი.** ოქტ. 12. რუმინიის საშკოლო ინსპექციამ და თხოვა ბესარაბიის სკოლების ყველა მასწავლებლები, რომლებმაც რუმინიის ქვეშევრდომობა არ მიიღეს და რომელთაც რუმინული ენა არ იცოდენ გაძევებულების ადგილებზე მოლდაველები დაინიშნენ. მთავრობის ყველა დაწესებულებებში და ბესარაბიის შკოლებში რუსული ენა გააუქმეს, შემოიღეს რუმინული. კიშინევში და ბესარაბიაში „ვივესკები“ მხოლოდ რუმინულ ენაზე უნდა იქნეს დაწერილი. რკინის გზებზე მხოლოდ რუმინულ ენას ხმარობენ. ბესარაბიის რუმინიზაციის გასატარებლად ყოველივე ზომები არის მიღებული.

**რიგა.** ოქტ. 12. „ფოსიშე ცეიტუნგ“-ის ცნობით, ვენაში დაარსდა გერმანიის ჯარის მიმღები ბიურო. ამ ბიუროს ხელმძღვანელმა მიულერმა განაცხადა, რომ ბიუროს მოქმედება მიმართულია მონარქიულ არმიის მოსაწესრიგებლად. იმავე დროს მან განმარტა, რომ ის არის ერთად ერთი, მიმღები ბიურო ავსტრიისა. საზღვარზე გადასასვლელად მათ განსაკუთრებული პასპორტები ეძლევათ.

**გომელი.** 14 ოქტ. გაზეთი „კიევლიანინ“-ში დაბეჭდილია ამ წლის მოსავალის აკრების წესრიგი: იმ ადგილებში, რომელიც დენიკინს უჭირავს, მოსავლის ორი მესამედი დამმუშავებელს ერგება. დანარჩენი მემამულეს, რომელსაც წინად ეკუთვნოდა ეს ადგილი.

**გომელი.** 10 ოქტ. „კიევსკაია ჟიზნ“-ი ფოსტოვში მომხდარ საშინელ სურათს გვიხატავს: რბევა ბოლშევიკების წასვლის შემდეგ დაიწყო და ოთხი დღე გაგრძელდა. ებრაელების გაძარცულ სახლებს ნავთს ასხავდნენ და სწვავდნენ. მოკლულია 600, დამახინჯებული ბევრათ მეტია. დარბეულია 100 სახლი და 60 დუქანი.

**გომელი.** 9 ოქტ. №-ის არმიის რევ. სამ. საბჭოს წარმომადგენელმა, რომელიც ფრონტიდან დაბრუნდა, რუს. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აუწყა ჩერნიგოვის ფრონტის მდგომარეობის ამბავი: წითელი არმიელები ომში წასასვლელად მიისწრაფიან. ნაწილებში პოლიტიკური მუშაობაა, ამ რაიონში მდგომარეობა მტკიცეა.

**სარატოვი.** ოქტ. 8. ცარიცინის რაიონში წითელი არმიის სულიერი განწყობილება რევოლიუციონურია. იყო შემთხვევები, როდესაც 60 კაცის ესკადრონმა მტრის მთელი პოლკები დაამარცხა.

**კოპენჰაგენი.** ოქტ. 10. გელსინგფორსიდან მოსული ცნობით ფინეთის რეიხსტაგის სენრენკონვენტი შეიკრიბა საბჭოთა მთავრობის საზავო წინადადების განსახილველად. თათრებმა ჯერ არავითარი შედეგი მოიტანა. სოციალ-დემოკრატები მოითხოვდენ ზავის შეკვრას, მაგრამ მათ წინადადებას თანაგრძნობით არ შეხვდნენ.

**პარიზი.** ოქტ. 15. მოკავშირეები ბერტხოლდის გაცემას მოითხოვენ.

**ლიონი.** ოქტ. 14. ხმებია, რომ იტალიაში იძულებითი სესხის არა პოპულიარობას შეუძლია მთელ იტალიაში რევოლიუციონური გავლენის მოხდენა.

**მოსკოვი.** ოქტ. 16 ოქტომბრის 15 საბჭოთა ჯარმა კიევი აიღო. ლოზუნგები: დენიკინზე ჩვენი გამარჯვება, გამარჯვება სრული და უკანასკნელი, რომელიც იმედს გვაძლევს ბრწყინვალე მომავლისთვის ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, ფრონტზე წასულებმა და იცოდნენ, რომ მათ ზურგთ უკან ახალ ახალი ბატალიონები სდგება, რომელიც ერთსა და იმავე ფიცსა სდებს: ან გამარჯვება, ან სიკვდილი.

ამხანაგებო! სოფლებში, ქალაქებში, პროვინციებში დარაზმეთ, უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლისათვის. გამარჯვებისაკენ. ძირს გულგრილობა, იარაღი აისხით და ბრძოლისაკენ!

**მოსკოვი.** ოქტ. 15. ოქტომბრის 14 საბჭოთა მთავრობა ესტონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს რადიო დეპეშა მიიღო, რომელიც იუწყება, რომ, ლიტვის და ლატვიისაგან პასუხის მიღების შემდეგ მოგეივა ცნობა თუ რომელ დღეს შეიკრიბება საზავო დელეგაცია იურიევში.

ლატიშთა სოც.-დემ. პარტია ლატვიაზე რუს-გერმანელ თეთრგვარდიელთა თავდასხმის გამო ევროპის სოციალისტების მიმართ მიმართვაში სწერს: მომხდარ ამბების გამო ლატიშელთა პარლამენტმა ოქტ. 9 ერთხმათ გადასწყვიტა დაიწყოს საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება ზავის შეკვრის მიზნით.

შვეციის, ნორვეგიის და დანიის პრემიერ მინისტრები და საგარეო საქმეთა მინისტრები კოპენჰაგენში მოვლენ სათათბიროთ, რომ გადასწყვიტონ მოკავშირეთა მოთხოვნილება რუსეთის ბლოკადის შესახებ.

**ლიონი.** ოქტ. 14. მოკავშირეები ფიქრობენ, შესწყვიტონ გერმანიისთვის სურსათის მიწოდება, იმ დრომდე, სანამ გერმანელები ბალტიის მხარის ევაკუაციას არ მოახდენენ ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა საერთო ბლოკადის განახლება, მაგრამ ბალტიის ზღვაში გემებით მიმოსვლა შეჩერებულია. ბერმონტი რიგის ყურისკენ მომავალ გზაზეა გაჩერებული.

ლატიშთა მთავრობამ რიგა დასტოვა, ესტონელები დასახმარებლად უგზავნიან ჯარს ლატიშებს, რადგან გერმანიის ჯარი რიცხვით მათზე მეტია.

**ნაუენი.** ოქტ. 14. „ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ი ურჩევს პარიზის პოლიტიკოსებს მიმართონ, ბალტიიდან ჯარის გამოსაყვანათ, არა გერმანიის არამედ თავისვე მოკავშირეებს—რუსეთის რეაქციონერებს. რუსის გენერლების მიმართ, რომ ასეთი კატეგორიული ბრძანება გაეცათ, როგორც გერმანიას მიეცა, მაშინ არც ერთი გერმანელი სამხედრო ძალა იქ არ დარჩება.

**ნაუენი.** ოქტ. 14. აზიის რუსეთში მყოფმა გერმანელმა სამხედრო ტყვეებმა გამოიტანეს რეზოლიუცია რომელშიაც გამოსთქვამენ აღშფოთებას სამშობლოში გაუგზავნობის გამო.

**ნაუენი.** ოქტ. 14. ტარნებერგში რიგის ახლო ლატიშთა საარტილერიო სროლამ დიდი ცეცხლი გამოიწვია. მცხოვრებთა მდგომარეობა საშინელია. ამერიკის მისიის წარმომადგენლებმა მრავალი ფოტოგრაფიული სურათები გადაიღეს, პოლ. ბერმონტმა ლატიშების მიმართ შესაფერი რეპრესიული ზომები მიიღო.

**პარიზი.** ოქტ. 14. მარშალი ფოში გერმანიის მთავრობასთან გაგზავნილ ნოტაში აღნიშნავს: მიუხედავათ იმისა, რომ მოკავშირეებმა არა ერთხელ სთხოვეს გასცეს განკარგულება გერმანიის მთავრობამ ... (გამოტოვებულია) ამდენ ხანს შეჩერებული იყო, ძნელი დასაჯერებელია, რომ წინასწ. არ ყოფილიყო მოფიქრებული იმ მიზნით, რომ გამოეწვიათ ისეთი შედეგები, რომლის გამო ეხლა გერმანიის მთავრობა ვითომც მწუხარებას გამოსთქვამს. რამდენიმე დღის წინად ფონ-დერ-გოლცი ბერლინში იყო. რათ გაუშვეს ის თუ არა იმისთვის, რომ დაასრულოს იმ საქმის ორგანიზაციაც, რომელიც აძლევს გერმანიის მთავრობას შესაძლებლობას დაამტკიცოს, რომ ჯარმა, რომელიც ამ მთავრობის ხარჯზე ინახება, თავისი თავი დამოუკიდებლათ გამოაცხადოს. მოკავშირე მთავრობები გერმანიას პასუხისმგებლად სთვლიან, თუ მათი წარმომადგენლების მიზეზით გერმანიის ჯარი ძალდატანებით იმოქმედებს ბალტიის პროვინციაში.

**მოსკოვი.** ოქტ. 15. რესპუბლიკის რევ. სამხედრო ცნობა. 14 ოქტ. არხანგელსკის მიმართ. პლესაცკაიას მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. პუდოგის მიმართ. ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. მურმანის მიმართ. ჩვენმა მზვერავებმა რკინის გზის ხიდი ააფეთქეს.

ფინეთის ყურის ნაპირზე ნაღმოსნების ესკადრა უშედეგოთ უშენდა კრასნაია გორკას ჩვენ ფრონტს. ლუგის მიმართულებით ბრძოლაა. კიევის მიმართულებით ჩვენი შეტევა ვითარდება. ჩვენი გმირული ჯარი მტერს ავიწროვებს, მიაღწიეს მდ. ირპენს, კიევის დასავლეთით 15 ვერსზე. წამოვიყვანეთ 200 ტყვე ხელში ჩავიგდეთ 3 ზარბაზანი და სხვა ქონება. გლუხოვის მიმართულებით გადაჯგუფება გრძელდება. ქალ. კრომის ჩრდილოეთ დასავლეთის რაიონში ჩვენი ჯარი მტერს ავიწროვებს. ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენ ორიოლი დავსტოვეთ. ელეცის რაიონში ბრძოლაა. ვორონეჟის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა კურგანის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს და ტობოლის აღმოსავლეთ მხარეზე გადადის. იალუტუროვის რაიონში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ არის. ფრონტის დანარჩენ ადგილებში აღსანიშნავი არაფერი ყოფილა

### ლიონის რადიო-სადგურის ცნობები.

ქ. ჰავრიდან გემ „სელტიკ“-ზე 4000 ჩინელი გაემგზავრა კანადისაკენ

შვეცარიის მისია პრაგაში მოვიდა ჩეხო სლავაკთა ფინანსიური მდგომარეობის შესასწავლად. მისიას მიზნად აქვს ჩეხო სლოვაკთა ახალ სახელმწიფოსთან კომერციული და დიპლომატიური დამოკიდებულება შეკრას. წარსულ შაბათს მისიის მეთაური დიდხანს ესაუბრა საბჭოს თავმჯდომარე ტუსარს. კვირას მისია რესპუბლიკის პრეზიდენტმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მასარიკმა მიიღო.

პრაგიდან იუწყებიან, რომ ჩეხო სლოვაკთა მისია პრესბურგში მივიდა, რათა ელბარა და დუნაის შუა არხი შეაერთოს. არხი სიგრძით 555 კილომეტრი იქნება და დასრულდება პრესბურგთან სადაც ნავთსაყუდარია მოწყობილი.

რომიდან მოსული ცნობით, ტიტტონი ორშაბათს სალ. მოს პარიზში გაემგზავრა. გზაზე ტიტტონი მივა სანროსსორეში მეფის სასახლეში, რომ მეფეს ესაუბროს.

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის დამოკიდებულების შესახებ.

რუსეთის მფრინავი ფედეროვი საარბურგში ჩამოფრინდა. ეს პირველი შეჩერებაა მისი კიევ-პარიზის გზაზე.

მფრინავი პულე დღეს დილით პარიზიდან გადმოფრინდა და მელბურგისკენ წავიდა.

### გერმანული პრესის ცნობები

დღეს გერმანიის მთავრობამ მოიწვია ეროვნული კრილობის კომისიის სხდომა. განიხილეს ბალტიის პროვინციის საკითხი. საგარეო საქმეთა მინისტრმა განმარტა ამ ჟამად იქაური საქმის მდგომარეობა აგრეთვე აღნიშნა ის ზომები რომელიც იქიდან ჯარების გამოწვევისთვის მიიღეს. მინისტრმა წაიკითხა აგრეთვე გერმანიის საპასუხო ნოტის პროექტი, რომელიც მოკავშირეებს გაეგზავნება. ამის გამო აზრთა გაცვლა გამოცვლა მოხდა დამსწრე სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებს შორის. როგორც ფიქრობენ, ეს ნოტა ამ კვირაში იქნება გაგზავნილი.

ბერლინის გაზეთების აზრით გერმანიის მთავრობა მოკავშირეებისადმი საპასუხო ნოტაში გამოსთქვამს იმ სურვილს, რომ ბლოკადის საშუალებანი განხილულ იქნეს მოკავშირეების წარმომადგენლების ცენტრალურ სახელმწიფოებთან ერთად თათბირის შემდეგ. გერმანული პრესა რუსეთის ბურჟუაზიის და გერმანიის შორის ანტაგონიზმის შექმნის წინააღმდეგია. რუსეთის ბოლშევიზმთან ვითომდა საბრძოლველად. პრესის აზრით გერმანიისთვის სასურველი არ არის, რომ ის ისე პოლიტიკაში იქნეს ჩათრეული, რომლის შედეგებიდან ბოლშევიკებზე გამარჯვების შემდეგ გერმანია მარტო დარჩება ეკონომიურის თვალსაზრისით.

ავსტრიის კანცლერმა რენერმა განაცხადა: „ეხლა ჩვენ ვიცით, რომ ოფიციალური საბუთების თანახმათ, პირები, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ომის დაწყებაში ვენის კაბინეტში შედიოდნენ, ეს არის გრაფ ბერხტოლდი და უნგრეთის და პოლონეთის მაგნატები. ესენი არიან პასუხისმგებელნი ავსტრიის უბედურებისა. ეხლა ავსტრია ისეთ მდგომარეობაშია, რომ ფაქტიურად არ შეუძლია დამოუკიდებელი იყოს“.

# ახალი ამბები

დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

— **გზათა დეპარტამენტის** დირექტორმა ინჟინერმა ჰოპინაძემ 13 ოქტომბერს ინახულა ბრიტანეთის ტრანსპორტის მთავარი გამგე გენერალი ბრაფი, რომელიც ამ დღეებში საბოლოოდ სტოვებს საქართველოს, და გადასცა მას სახსოვრად საქართველოს რკინის გზებისაგან მთავარ სახელოსნოებში გაკეთებული ორიგინალური საწერელი, შემდგარი რკინის გზის ტეხნიკურ მოწყობილობის ნაწილებისაგან. გენ. ბრაფმა სთხოვა დირექტორს მხურვალე მადლობის გადაცემა რკინის გზების მოსამსახურეებისათვის და აღტაცებით აღნიშნა ის გასაკვირველი მწყობრი და სწრაფი მუშაობა, რომელსაც აწარმოებდნენ და აწარმოებენ საქართველოს რკინის გზები.

— **დღეს დედათა და ბავშვთა დამცველ საზოგადოების დღეა.** იქნება ყულაბებით ფულის შეგროვება.

— **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია მორიგი ლექციები: 2 განყოფილება (ვერა) 1) ს. მესხი „სამშობლოს აღწერა“. 2) ეკ. ალშიბაია „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი“. 6 განყ. (ერთობის უბანი) 1) ტუღიაშვილისა „გიგიენა“ 2) ქრ. რაჭველიშვილი „რომის ისტორიიდან“. 7 განყ (საბურთალო) 1) ვ. ბარნოვი „ქართულ მწერლობიდან“, 2) ირემაშვილი „კონომიური საკითხები“. 8 განყ. (ავლაბარი) 1) გ. ნათაძე „პირველყოფილ კულტურიდან“, 2) შალამბერიძე „ქიმიიდან“.

— **კაპელა.** ორშაბათს, 20 ოქტომბერს, სახალხო სახლში (ზუბალაშვილის) გაიმართება კაპელას მორიგი კონცერტი დ. არაყიშვილის ლოტბარობით.

— **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების კრება** შესდგება დღეს, საღამოს სრულ 7 საათზე მიხეილის სამკურნალოს აუდიტორიაში. დღის წესრი: 1) მოხსენება ექიმ. მ. დ. წინამძღვარიშვილისა: „შემთხვევა ბარმერის პერნიციოზუ ანემიისი“—თფილისის ქალაქის საავადმყოფოდან. 2) ექიმ ვ. მ. სარაჯიშვილის მოხსენება: „გაგრა, როგორც კურორტი“.

— **თვითმკვლელობა.** 15 ოქტომბერს თავი მოიკლა სოხუმის ქალაქის მილიციის ყოფილმა უფროსმა სვანიძემ.

— **1 ნოემბერს,** შაბათს 12 საათზე დანიშნულია მეორეთ საჯარო ვაჭრობა მიწათ მოქმედების სამინისტროს სასოფლო მეურნეობის და სახელმწიფო მამულთა განყოფილების ბინაზედ (პეტრე დიდის ქუჩა 22) თევზის დაჭერის უფლების მიღებაზე მდ. ხრამში და დებედა ჩაიში, საჯარო ვაჭრობა დაიწყება 30,000 მანეთიდან და მსურველებმა უნდა შეიტანონ წერილობითი განცხადება 2 მან. სალერბო გადასახადით და 30 პროც. ბე იმ თანხისა, რომლიდან დაიწყობა საჯარო ვაჭრობა. დაწვრილებითი ცნობა მიიღება განყოფილების კანცელარიაში.

### კრებები.

— დღეს, საღამოს 6 ს. სომხურ სექციის ბინაზე დანიშნულია მეორე სამილიციო უბნის ს. ს. დ. მ. პ. ქვეკოლექტივის სხდომა.

შაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე პროფესიონალური კავშირის ბინაზე, დანიშნულია. უმუშევარ ფარმაცევტთა საზოგადო კრება.

# ბრძანება

**რესპუბლიკის ჯარებისადმი.**

ამა წლის ოქტომბრის 12 ს საღამოს 9 საათზე ქ. სოხუმში მეორე ქვეითა რაზმის ჯარისკაცთა ჯგუფი 70—80 კაცამდე ჯარისკაცთა ტანისამოსში გადაცმულ აგიტატორთა ხელმძღვანელობით და ზეგავლენით შეეცადა იარაღის საწყობის გაძარცვას. ბოლშევიკთა მიზანი იყო მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის გაჩაღება და ანარქიის გაძლიერება. ერთი თავდამსხმელთ განი დარაჯმა მოკლა და რამდენიმე დასჭრა. რაზმი მთლიანათ თავისი მოვალეობის ერთგული დარჩა. მიღებული ზომებით წესრიგი დაუყონებლივ იქნა აღდგენილი. გამოსვლის მონაწილეებმა ამბოხების მეთაურები თვით გასცეს, რომელნიც შეიპყრეს. უკანასკნელნი გადაეცნენ სასამართლოს მსჯავრის დასადებათ.

მივაქცევ რა ამ სამწუხარო გარემოებას ჯარის ნაწილთა უფროსების ყურადღებას, ვუბრძანებ მათ მიიღონ ენერგიული ზომები, რომ ჯარში ადგილი არ ქონდეს გადაცმულ ბოლშევიკთა აგიტატორებს.

სამხედრო მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

# ამიერ-კავკ. კოოპერატივ. კავშირის მე-5 ყრილობა

**მეშვიდე დღე, 14 ოქტომბერი.**

თავმჯდომარეობს გრ. ურატაძე.

განსახილველად წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა და დამატება. წესდება ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა გადაკეთდა საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ დებულებად ეს დადგენილება ერთხმათ იქნა მიღებული. ამ დადგენილებისა გამო ზოგიერთ მუხლებში ცვლილება მოხდა. მიიღეს აგრეთვე მე 8 ვე მუხლის შენიშვნა, რომლის ძალით საქართველოს კოოპერატიულ კავშირში შესვლა შეუძლიანთ გარდა საქართველოს ტერიტორიაზედ მომქმედ კავშირების და კოოპერატივებისა, საქართველოს გარეშე მომქმედ კოოპერატივებსაც, თუ გაიზიარებენ საქართველოს კოოპერ. ცენტრალურ კავშირის მიერ დასახულ მიზნებს. ამ შენიშვნის წინააღმდეგ ხმა მისცეს სოც. ფედერალისტებმა. ახალი დებულების მე 28 მუხლის ძალით კავშირის საქმეებს განაგებს 1) რწმუნებულთა კრება, ბ) მოკავშირეთა ბიურო და კავშირის გამგეობა.

მე 30 მუხლის ძალით რწმუნებულთა კრებაზე წარმომადგენლობის უფლება აქვს კოოპერატივებს შემდეგი სახით: კოოპერატივი, რომელიც აკავშირებს 3000 მდე წევრებს გზავნის ერთ რწმუნებულს, 3000-დან 6000-დე—2, 6000-დან—10,000 დე—4, 10,000—20,000 დე—5—20,000 დან 30,000—8 ს 30,000 ზევით 10 კაცს.

მოხდა აგრეთვე უმნიშვნელო ცვლიცვლილებები სხვა მუხლებშიაც.

### დელეგაციის არჩევა.

ყრილობამ გადასწყვიტა საერთაშორისო კოოპერაციის ყრილობაზე გაგზავნოს 3 წარმომადგენელი, რომლის არჩევა მიენდო მოკავშირეთა ბიუროს.

### გამგეობის არჩევნები.

გამგეობის შემადგენლობიდან თანახმით წესდებისა გავიდა ერთი წევრი პლ თალაკვაძე, სოც. ფედერალისტებმა წამოაყენეს პ. დადვაძე. სოც. დემ. პლ. თალაკვაძე. არჩევნები მოხდა ფარული კენჭის ყრით. თალაკვაძემ მიიღო 151 ხმა. და დადვაძემ—111 ხმა. ამ რიგათ არჩეულ იქნა თალაკვაძე. გამგეობის კანდიდატების არჩევნები მოხდა შეთანხმებით, არჩეულია სამი კანდიდატი: 1. ვ. ცაგარელი, 2. პ. დადვაძე და 3. გოგიაშვილი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა 3 კაცი: ი. ბლიაძე, გ. კანდელაკი და კ. ტყავაძე. მოსმენილ და დაკმაყოფილებულ იქნა კავშირის თანამშრომელთა თხოვნა ჯამაგირის 1 იანვრიდან მომატების შესახებ (გამგეობის დადგენილებით მათ უნდა მისცემოდათ მომატება 1 აპრილიდან). ბოლშევიკ ერქომაიშვილის მეუღლის თხოვნა (და მასთან ლატუსალებულ კავშირის თანამშრომელ ბოლშევიკების საკითხი) გადაეცა ზედამხედველ საბჭოს მიერ გამოყოფილ კომისიას. დასასრულ ყრილობამ ერთხმათ მიანდო პრეზიდიუმს მისასალმებელი დეპეშების გაგზავნა მთავრობის, დამფუძნებელ კრების და საერთაშორისო კოოპერაციის სახელზე. ამის შემდეგ ყრილობას სიტყვით მიმართა ევგ. დარჩიამ და ის. რამიშვილმა.

### ის. რამიშვილის სიტყვა.

მოქალაქენო, კოოპერაციის მუშაკნო, მეოთხე ყრილობის წევრნო!

ყრილობის სხდომები დასრულდა, მან სავსებით ამოწურა წეს რიგში დასმული კითხვები და თქვენ დღეს ვე გაეშურებით აქ გამოტანილ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად, ჩაებმებით თქვენს ძნელსა და რთულს, მაგრამ იმავე დროს დიდად სიმპატიურ მუშაობაში. ამიტომ ნება მიბოძეთ წასვლის წინ გითხრათ რამდენიმე სიტყვა და გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებანი.

მე დაჯერებული ვარ, რომ ეს ყრილობა შეიტანდა ბევრს ცვლილებას თქვენს შეგნებაში და ფსიხიკაში; დაჯერებული ვარ, რომ თქვენ დაუბრუნდებით თქვენს საქმეს გაცხოველებულის ძალით, განახლებული ხალისით და შევსებული ცოდნით.

ეს მეოთხე ყრილობა თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ჩვენი კოოპერაციის ისტორიაში. ჩვენ წინ გადაიშალა აქ მოკლე, მაგრამ დიდი შინაარსიანი წარსული ჩვენი კოოპერაციისა, ჩასახვა მისი, სწრაფი ზრდა აღორძინება, და დღეს ამ მეოთხე ყრილობის სახით ჩვენ წინ დადგა ის უკვე მოწიფებული და დავაჟკაცებული, დგას იგი რისხვა მტერთათვის და სიხარული და ნუგეში მოკეთეთათვის.

გაბედულად შევიძლია ვთქვათ, რომ ამიერიდან მას ველარ დასძლევენ ცხოვრების სიდუხჭირენი, პირიქით, ის დასძლევს ამ სიდუხჭირეთ. ვერ დასძლევენ დაბრკოლებანი ისეთს ორგანიზაციას, რომელსაც დარაჯად უდგანან ისეთი მომზადებული და თავდადებული კოოპერატორები, როგორიც ბრძანდებით თქვენ, წევრნო ყრილობისა, მუშაკნო კოოპერაციისა! კოოპერაციის არმია, დარაზმული თქვენი მეთაურობით და თქვენი წინამძღოლობით გადაიტანს ყოველივე გასაჭირს და არც ერთხელ ძირს არ დაუშვებს ერთხელ აწეულს ბრწყინვალე თავის დროშას. ამიერიდან აღარ გვმართებს შიში და დაღრეჯილობა — დაბრკოლებანი დაძლეულნი არიან, მტრები დამარცხებულნი და იმედებით შევიძლიან შევხედოთ მომავალს.

ჩვენ მოვისმინეთ და გულდასმით განვიხილეთ მთელი წლისა და კიდევ მეტის მუშაობა გამგეობისა, მეთვალყურე საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა. თქვენ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეთ მუშაობა იგი და ჩვენდა საბედნიეროთ, მან გაუძლო თქვენს კრიტიკას და თქვენს წინაშე პირნათლად დგანან თქვენი რჩეულნი და წინამძღოლნი, მუშაკნი ცენტრისა. მათ სავსებით გაუმართლებიათ თქვენი ნდობა. ყველაფერს ემჩნევა, რომ არა ხათრისა ან შიშის გამო უმუშავნიათ, არამედ გატაცებულნი ყოფილან იმ დიდი იდეის ცეცხლით, რომ მოემზადებიათ ნიადაგი და დაენერგათ ჩვენს მიწაზე ეს ახალი დარგი ცხოვრებისა—კოოპერაცია. მათ არ უთვლიათ დრო—8 საათი იმუშაონ, თუ 12, არამედ მთელი თავისი არსებით მისცემიან საყვარელ საქმეს და კვალიც დაუმჩნევიათ უსამართლობა იქნებოდა, ეს რომ არ დაგვენახა.

ნაკლიო, იტყვით თქვენ. დიახ, ნაკლიც იყო და შევამჩნიეთ კიდეც. მაგრამ ცხოვრების დუღილში ყოველთვის არის ეს ქაფი. მაგრამ შოლდის პატრონი და ხდის მას თავისი გამრჯე ხელით. აქაც პატრონმა—ყრილობამ მოხადა მუშაობას ეს ქაფი, მიუთითა ნაკლზე და უბრძანა თავის მსახურს—გამგეობას მისი მომავალში თავიდან აცილება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ცენტრის მუშაკნი არ შეჩერებულან მარტო სხეულზე, არამედ დიდათ უზრუნვიათ სულზედაც თქვენ მოისმინეთ აქ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება კულტურული მუშაობის შესახებ, სადაც სწორად არის დასახული მიზანი, სწორია გეგმაც მიზნის მისაღწევათ დამუშავებული, და თუ ჯერ არც მიზნისათვის მიღწეული და არც გეგმა არის სავსე შინაარსით, ეს იმედია, არ გაგიკვირდებოდათ, ეს საქმეა ახლო მომავლისა. სხეული და სული, პური და კულტურა—აი დევიზი ჩვენი კოოპერაციისა, და ეს ესმით ჩვენს ხელმძღვანელთ.

ამ რიგად, ჩვენ შეგვიძლია დავიმშვიდნეთ სრული იმედით, რომ ჩვენი კოოპერაციის ბედი ცენტრში საიმედო ხელში იმყოფება, რომ შემდეგ ყრილობაზე კიდევ უკეთესი მასპინძელი დაგვიხვდება აქ. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. თავი და თავი არის მუშაობა ადგილობრივ—დაბად და სოფლად და ეს დიდი მუშაობა კი თქვენზედ არის დაყრდნობილი, მოქალაქენო, ყრილობის წევრნო, რომელთაც ტრიალი გიხდებათ უშუამეოთ პირდაპირ თვითონ ხალხში, სადაც თქვენს მუშაობას დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. იქ თქვენ არ გეყოფათ მარტო დაუცხრომელი და თავდადებული მუშაობა, იქ საჭიროა მაღალი ზნეობა თქვენი, თქვენი უანგარობა, მოუსყიდველობა, მიუდგომლობა. როცა ხალხი ამ თქვენს კეთილ თვისებებს დაინახავს, ისიც შეითვისებს მათ, ისიც წაგბაძავთ თქვენ. მაგრამ, თუ მრუდე გზით დაიწყეთ სიარული, ერთს ტკბილათ უცქერით, მეორეს მრისხანეთ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ხალხმა თქვენზე გული აიყაროს, მტრობა გამოგიცხადოსთ და სპეკულიაციისკენ გადაიხაროს. ბრძენების უგვანო ქცევითა ქვეყანა წახდა ბაძვითაო, გამიგონია და ეს ბრძნებიც თქვენა ხართ, რომელსაც კი არ უნდა წახდინოთ, არამედ გააკეთოთ, ააყვავოთ სოფელ-ქვეყანა. იცოდეთ, რომ თქვენს ყოველ ნაბიჯს, ყოველ მოქმედებას ზომავს და წონავს ათასი თვალი ხალხისა, იცოდეთ, რომ ჩვენში აღგა უკვე ფეხზე სახალხო შეგნება, სახალხო კრიტიკა და გეშინოდეთ ამ კრიტიკისა, რომელიც არაფერს არ გაპატიებთ. ამიტომაც იყო ჩემი გაფრთხილების სიტყვები ყრილობის გახსნის დღეს წარმოთქმული: თქვენ ცოტა ჭამეთ და ხალხს მეტი აჭამეთ, გეშინოდეთ ქონის, სიმდიდრისა და ნუ გეშინიათ სიღარიბის, მშლე ხალხში თქვენც მშლე იყავით, და თუ ხალხი გასუქდეს, თქვენც მასთან ერთად გასუქდებით. ამით იქნებით მასთან ჭირსა და ლხინში. ძნელია თქვენი მისია, მაგრამ დიდი და სახელოვანი. მე მეტსაც ვიტყოდი—თქვენ უფრო დიდი მასწავლებელნი ხართ ცხოვრებისა, ვიდრე ჩვენი სკოლები, ჩვენი მასწავლებლები, რომელთა სწავლება დამყარებულია მარტო სიტყვაზე, როდესაც თქვენ ცხოვრებისათვის არსობის პურზე, თვალ-

საჩინო საგნებზე ზრდით ხალხს, და ხომ მოგეხსენებათ რა სუსტია სიტყვა იქ, სადაც ცხოვრების პირველ ფიზიკურ საჭიროებას ეხება საქმე? ქრისტემ ბევრი მშვენიერი სიტყვები და ქადაგებანი წარმოთქვა ხალხის წინაშე, მაგრამ ღმერთად მხოლოდ მაშინ იცნეს, როცა დავრდომილები, კოჭლები და ბრმები დაკურნა და უფრო კიდევ მაშინ, როცა მშივრები დააძღო უდაბნოში. და თქვენც აღზარდეთ ხალხში რწმენა, თქვენდამი მისი გასაჭირის შემსუბუქებით.

დუქანი, საზოგადოთ, და სავაჭრო სახლები ხალხს სძულს. მან გამოცდილებით იცის, რომ ამ ადგილებში შავბნელი საქმეები ხდება, იცის რომ იქ ყალბი სასწორი დგას, რომელიც მრუდეთ სწონავს, ხალხს ატყუებს. კოოპერაციის დუქანი ამ ჯურღმულში ვარსკვლავსავით უნდა ანათებდეს. კოოპერატივის დუქანში უნდა იდგეს სწორი სასწორი, რომელიც მართლად უნდა სწონიდეს. მაშინ ხალხი ჩვენს მხარეზე გადმოვა და მხოლოდ მაშინ გაუვარდება ხელიდან სპეკულაციას მისი დაქანგებული ყანთარი და თუ თქვენი და სპეკულანტების სასწორი ხალხმა ერთმანეთისაგან ვერ გაარჩია, დააბრალეთ თავის თავს და არა ხალხს, თუ ეს უკანასკნელი თქვენგან განზე გადგეს. ამით იყო გამოწვეული ჩემი მეორე გაფრთხილება ყრილობის დასაწყისში: ოფიციალური სპეკულანტებისა ნუ შეგეშინდებათ, არამედ გეშინოდეთ შინაური სპეკულიანტების, გასწმინდეთ მათგან თქვენი ოჯახი!

ერთ გარემოებაზე კიდევ უნდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. ეს არის სრული ნეიტრალობა კოოპერაციისა პარტიული მხრით. თუ თქვენ კოოპერაციას გადააქცევთ პარტიულ ბრძოლის იარაღათ და გზათ და ხიდათ, მაშინ მოუსპობთ არსებობას ყველა პარტიებისთვის ერთნაირად საყვარელ ორგანიზაციას. პარტიებს ეყოფათ სხვა სარბიელიც ერთმანეთს შორის ანგარიშის გასასწორებლად და კოოპერაცია გაანთავისუფლეთ პარტიული შენჩემობისა და ქიშპობისაგან.

დასასრულ უნდა აღვნიშნო ის დიდი ცვლილება, რომელიც ჩვენი კოოპერაციის ცხოვრებაში მოხდა მის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავეთ გამოცხადებით. ზოგს აქ ეჩვენება ჩვენი ჩამოშორება როგორც ცალკე ქვეყნების, ისე საერთაშორისო კოოპერაციის მოძრაობისაკენ. მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ისინი სცდებიან აქაც ისე, როგორც სცდებიან, როცა საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადება მოეჩვენათ ინტერნაციონალიდან ჩამოშორებათ. ცალკე სახელმწიფო ორგანიზაცია, ცალკე ორგანიზაციები. ამ სახელმწიფოში ყველანი მწყობრათ შეთანხმებულნი რესპუბლიკის კანონებთან შექმნიან ძლიერ შინაურ ძალას, რომელიც სწრაფი ნაბიჯით გაგვაქანებს ჩვენ წინ კულტურისაკენ და დაგვაწევს სხვა კულტურულ ქვეყნებს, რომელთანაც შევკრავთ კავშირს არა მონობისა, არამედ თანასწორობისა და ძმობისა. (ტაში) საქართველომ ერთხელ და სამუდამოთ საქვეყნოთ სთქვა, რომ ის მონათ აღარ იქნება არავისთვის და არც არავის მონათ არ გაიხდის (ტაში). ის ეძებს თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს. და ჩვენი კოოპერაცია გამაგრებული, გაძლიერებული თავის ნიადაგზე, თავის ატმოსფერაში, ძმურათ დაუკავშირდება სომხეთის აძერბეიჯანის და სხვა ქვეყნების ასეთ პირობებში გაძლიერებული თანამოძმეებს და ყველანი ღონიერები შევლენ საერთაშორისო, კაცობრიობის კოოპერაციაში. მაშ გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას და მის თავისუფალ კოოპერაციას! გაუმარჯოს ცალკე ქვეყნებისა და საერთაშორისო კოოპერაციას! (მხურვალე ტაში და ოვაციები). ახლა ნება მიბოძეთ გზა დაგილოცოთ, მოქალაქენო, და გისურვოთ წარმატება და გამარჯვება თქვენს დიდ საქმეში. მშვიდობით შემდეგ ყრილობამდის, ნახვამდის! (კიდევ ტაში და ოვაციები).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოოპერაციის მეოთხე ყრილობას ვაცხადებ დახურულად. (ტაში).

კ. ტყვაძე ხალხს მიმართავს სიტყვით, რომელშიაც აღნიშნავს ის. რამიშვილის მოღვაწეობას ძველი რეჟიმის დროს. ხალხი „გაუმარჯოს ისიდორეს" ძახილით იშლება.

## საბურთალო

12 ოქტომბერს, საბურთალოს მუშათა კლუბში შესდგა მრავალ რიცხოვანი ადგილობრივ მოწინავე მუშების და მცხოვრებლების კრება.

მოისმინა რა კრებამ საბურთალოს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენება შესახებ საბურთალოს უბნის კომისრის ნიკოლოზ მახვილაძის თანამდებობიდან დათხოვნისა ქალაქის გამგეობის მიერ და მიიღო რა მხედველობაში, რომ ნიკოლოზ მახვილაძე, როგორც ეს სჩანს ოფიციალური საბუთებიდან, პირდაპირ აიძულეს შეეტანა თხოვნა სამსახურიდან გადადგომისა მაშინ, როდესაც იმისთვის არ წაუყენებიათ არავითარი დასაბუთებული ბრალდება, დაადგინა: „1. გამოეცხადოს ყოფილ კომისარს ნიკოლოზ მახვილაძეს პრესის საშუალებით დიდი მადლობა იმ დაუღალავი და მეტად სასარგებლო შრომისათვის საბურთალოს მცხოვრებთათვის და რევოლიუციისათვის, რომელიც იმან გასწია, როგორც აღმასრულებელ კომიტეტში მუშაობის დროს— აგრეთვე კომისრობის დროსაც. 2. როგორც უდანაშაულოს და იძულებით წასულს სამსახურიდან, გამოეცხადოს მას ჩვენი თანაგრძნობა. 3. ამ რეზოლიუციის პირი გაეგზავნოს ქალაქის თავს და ეცნობოს მას, რომ საბურთალოელებისთვის ძალიან სასურველი იქნებოდა ნიკოლოზ მახვილაძის საბურთალოს კომისრად დატოვება, თუ ეს, რასაკვირველია, შესაძლებელია".

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 9 ოქტომბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა, რომელსაც დაესწრო მთელი შემადგენლობა. სხდომას დაესწრო აგრეთვე წარმომადგენლები ქარხანა „მირი"-დან, „სლონიდან" სამხედრო სასურსათო მაღაზიიდან, არამიანცის საავათმყოფოდან, მესამე რაიონის სახალხო გვარდიელთა შტაბიდან, ქალთა არტელიდან და ავლაბრის ქალთა ორგანიზაციიდან. სხდომა გახსნა ამხ. მიხ. წივწივაძემ.

თფილისის კომიტეტიდან მოხსენება არ ყოფილა, რადგანაც მისი სხდომა არ შემდგარიყო.

კომისიების მოხსენებანი.

ავლაბრის მუშათა კლუბის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. წივწივაძე, რომელიც კოლექტივს აცნობს, რომ მუშათა კლუბის გამგეობა შეუდგა მუშაობას, იწვევს სცენის მოღვაწეთა ჯგუფებს, მოლაპარაკება აქვს გამართული სომხური სექციის რეჟისორს ა. ხარაზიანთან, და მოლაპარაკება აქვს აგრეთვე ქართული სექციის რეჟისორთან. წარმოდგენების გამართვა უნდა დაწყებულ იქნეს 16 ოქტომბრიდან. გამგეობამ შეიმუშავა მთელი სეზონის შემოსავალ-გასავლის წყაროები, შეადგინა აგრეთვე რეპერტუარი და იმედს გამოსთქვამს, რომ მუშათა კლუბის გამგეობა დასძლევს ყოველსავე დაბრკოლებას, რომ საქმე სასურველად მოეწყოს. ამხ. მურმანიძე კოლექტივს აცნობს, რომ მან უკვე გადაათვალიერა კოლექტივის მარქსისტული ლიტერატურა და რაც გასავრცელებლად არის ამ ჟამად დასაშვები, ყველა წიგნაკი აღნუსხული არის თავის ახალ ფასებში. ამხ. ნ. მიქაძე, საარჩევნო კომისიის წევრი, კოლექტივს აცნობს, რომ კოოპ. „ალორძინების" არჩევნებისთვის ზომები აქვს მიღებული კომისიას. მკერავ ქალთა პროფ. კავშირის შესახებ კოლექტივს მოხსენებას უკეთებს ოლ. ბაქრაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ მკერავ ქალთა პროფ. კავშირი უნდა შეუერთდეს „ნემსის პროლეტარების" კავშირს, რაზედაც კოლექტივი სურვილს გამოსთქვამს.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრი ნ. სხულუხია მოხსენებას აკეთებს უნივერსიტეტის შენობისთვის რეკვიზიციის საკითხის დადებითად გადაჭრას.

კოლექტივი აუცილებელ საჭიროებად სთვლის ამ მოკლე დროში კვლავ გაიმართოს „მირის" ქარხანაში დებატები, რაიცა მიენდო პრეზიდიუმს სისრულეში მოსაყვანად.

გაზეთ „ერთობაში" მოთავსებულ წერილის შესახებ, რომელიც არის № 229-ში ოსიაურში და მის ახლო მდებარე სოფლებში ყაჩაღ ბრზოების თარეშის გამო კოლექტივი გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ადგილი აქვს ასეთ შემაძრწუნებელ მოვლენას. გამოსთქვამს სურვილს, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება მიაქციოს და მთელი ძალ ღონით შეებრძოლოს ყაჩაღთა ალაგმვას.

ამხ. არ. უმრიევი კოლექტივს მოხსენებას უკეთებს, რომ ის იყო გაგზავნილი სომხური სექციის მიერ კახეთში, სადაც მან მოაწყო სომხური ეროვნული საბჭოს საარჩევნო კომისიები, მოაწყო აგრეთვე სომხურ ს. დ. მ. პ. გაზეთის „ზანგორი ძაინის" გავრცელების საქმე, და საერთოდ გაეცნო ადგილობრივად პარტიულ მუშაობას, რომელიც ყველგან დამაკმაყოფილებელია.

კოლექტივმა მოისმინა ამხ. უმრიევის მოხსენება და დასასრულ განიხილა წვრილმანი განცხადებანი.

ო. ბ.

—

თფილისი. 14 ოქტ. მოწვეული იყო საზოგადო კრება ს. ს. დ. მ. პ. არსენალის მუშა-მოსამსახურეებისა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კ. კოპალეიშვილი, მდივნათ ლ. ანთიძე. დღიურ წესრიგში იყო მოხსენება მომენტზე და მცირე კოლექტივის არჩევნები. მოხსენებას აკეთებენ თეყზაძე და ვარდოიანცი. მოხსენებები შინაარსიანი იყო და დამაკმაყოფილებელი. მოხსენების შემდეგ მოხდა არჩევნები მცირე კოლექტივისა. არჩეულ იქნენ მამალაძე ლ., კოპალეიშვილი, ანთიძე ლ., ახალბედაშვილი, საბახტარიშვილი, ტერტერაშვილი, ტერგრიგორიანცი, ებრაელიძე, აბაშიძე, ჯანაშია, ფეოდოროვი. კანდიდატებათ: მამალაძე, ცინცაძე, მაისურაძე, ქადაგიშვილი, შარვაშიძე. საჭიროა გარედან დახმარება მომხსენებლების მხრით. ხალხს სურვილი აქვს მუშაობის.

ლ. ანთიძე.

## მუშათა შორის

თფილისი. 8 ოქტომბერს, არამიანცის საავადმყოფოში შესდგა საავადმყოფოს მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელიც მოწვეული იყო ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ხელმძღვანელობით. კრებაზე მოვიდნენ დამფუძნებელი კრების წევრები ამხ. მ. ხოჟოლავა, ს. ირემაშვილი, ვარდოიანი და საბჭოთა რუსეთიდან დაბრუნებული ამხ. ათაბეგოვ ტომასი. ამხ. მ. ხოჟოლავამ დამსწრეთ გააცნო მთავრობის დღევანდელი ნაბიჯები, საერთაშორისო მდგომარეობა და სხვა. ილაპარაკეს აგრეთვე სომხურად, ქართულად და რუსულად დანარჩენმა ამხანაგებმა. სხდომა საღამოს 5 საათზე გათავდა, და მუშა-მოსამსახურეები კმაყოფილნი დაიშალნენ.

არამიანცის საავადმყოფოში 300 კაცი მაინც მუშაობს, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთი საუბრები თანამედროვე კითხვებზე ხშირად გაიმართება და ხალხი მეტი მოვა, ვიდრე ამ კრებაზე იყო.

გ—ი.

## პროვინცია

ზესტაფონი. შორაპნის სამაზრო ერობის მოხელეთა კავშირი აქ არსებობს კარგა ხანია, მაგრამ ნაკლებათ ეტყობა დადებითი მუშაობა. ჩემი მოკლე დროის ამ კავშირის გამგეობის მოქმედების თვალყურის დევნებამ, ნაკლები იმედი მომცა, რომ თავის სიმაღლეზე იდგეს და აწარმოებდეს იმ მუშაობას, რაც შედის საერთოთ კავშირების კომპეტენციაში, რაც უნდა გამოიხატებოდეს, ჩემის აზრით, კავშირის წევრების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობაში, სასურსათო ფონდის დაარსებაში და მით ხელ-მისაწვდომ ფასებში პირველ მოთხოვნილების საგნების მიწოდებაში, რასაკვირველია ერობის გამგეობასთან არა მტრული განწყობილებით, რაც უკვე ემჩნევა ჩვენი კავშირის გამგეობას, არამედ შეძლების დაგვარათ, სადაც საჭიროა გამგეობის მხრითაც დახმარებით. არა მგონია ერობის გამგეობამ სათანადო დახმარება არ აღმოუჩინოს სასურსათო ფონდის დაარსებაში ამ მიზნისთვის მათი მხრით საჭირო დამატებით, რაც ხელს შეუწყობს მოხელეების უმწეო მდგომარეობის შემსუბუქებას. მთავარი მუშაობა კავშირის გამგეობისა აქეთკენ უნდა იყოს მიქცეული და აკეთებდეს იმას, რაც კავშირის მოვალეობას შეადგენს და აი სწორეთ მაშინ თუ ვინმე გადაეღობება წინ მათ მუშაობას, კავშირი გასცემს მოწინააღმდეგეს სათანადო პასუხს, მაგრამ ვფიქრობ ასეთი გზით სიარულში კავშირს ნაკლები ხელის შემშლელები ეყოლება და ნაყოფიერი მუშაობაც ექნება. საჭიროა სოლიდარულათ მუშაობა, ჩვენ საკუთარ საქმეებთან ერთად უნდა გვახსოვდეს საერთო საქმე და მაშინ ბევრს გავაკეთებთ, როგორც საკუთარ თავისთვის, ისე სამაზრო ერობის სასარგებლოთ.

მართაშვილი.

—

გორის მაზრა. ვინაიდან ხაშურ-გომის რაიონში ამ უკანასკნელ ხანებში მეტად გავრცელდა ყაჩაღობა, გორის მაზრის ადმინისტრაციამ ცხენოსანი მილიციის საშუალებით მიიღო საჭირო ზომები და 4 ოქტომბერს გათენებისას ალყა შემოარტყა სოფელ ბრილს (გომის რაიონი) და შეიპყრო 4 კაცი, რომლებიც აგენტებათ და საერთოდ დამხმარეებათ ყოლიათ ყაჩაღებს.

— 4 ოქტომბერს საღამოს გორის მაზრის კომისარი ვ. ქარცივაძე და საქ. სახაზ. რკინის გზების მილიციის უფროსი ბერძენიშვილი მილიციონერებით გაემგზავრნენ სოფ. ქემფერში (სურამის რაიონი) იქ გაჩხრიკეს ყაჩაღ ლომიძის ბინა, რომელმაც მოასწრო გაქცევა, შემდეგ მოწვეულ იქნა სოფელ ქემფერის მცხოვრებთა ყრილობა, რომელთაც აუხსნეს რა ყაჩაღთა თარეში ამ სოფელში და ბოლოს მიეცა წინადადება მცხოვრებთ, რომ ერთი კვირის განმავლობაში გასცენ ყაჩაღები, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ წინააღმდეგ იქნება ზომები მიღებული, როგორც ყაჩაღების მფარველების.

იქიდან გაემგზავრნენ სოფ. ოსიაურში და იქაც შეიპყრეს ყველა ის პირნი, რომელნიც ყაჩაღების სასარგებლოთ კრეფდნენ ფულს და დახმარებას უწევდნენ ყაჩაღებს და აგრეთვე ის პირნიც, რომელთაც ხელი შეუწყვეს ყაჩაღ ბერიძის განთავისუფლებას.

— 28 სექტემბერს ღამით გორის მაზრის მილიციის სამმართველოს კედელი გაანგრიეს და გაიქცნენ ყაჩაღი დათაშვილი და ერთი ქურდი, რომელთაც მყისვე დაედევნა მილიციონერები და ყაჩაღი დათაშვილი მოკლულ იქნა.

— 1 ოქტომბერს გორის მაზრის მილიციამ სოფ. ქარელში შეიპყრო ცნობილი ყაჩაღი მარღიშვილი.

— 6 ოქტომბერს, როდესაც ყაჩაღი მარღიშვილი ხაშურიდან გორის სამაზრო ციხეში მიჰყავდათ, ისარგებლა რა ხაშურში მრავალრიცხოვანი ხალხით, გაექცა მილიციონერებს და ის იყო უნდა მიმალულიყო ოსიაურის ტყეში რომ ამ დროს მოუსწრო და დაედევნა სამაზრო მილიციის უფროსის თანაშემწე და მიუხედავათ იმისა, რომ ყაჩაღი ძალიან შორს იყო წასული, ესროლა და მოკლა. საერთოდ ამ ბოლო დროს გორის სამაზრო მილიციამ სასწრაფო და რადიკალური ზომები მიიღო ყაჩაღების წინააღმდეგ, რის გამოც მშვიდობიანმა ხალხმა ძლივს ამოისუნთქა და განაცხადა: „ძლივს არ ვეღირსეთ მთავრობის მაგარ ხელსო". როგორც სჩანს ზომების მიღებამ გასჭრა. და მართლაც უბრალო ხალხი ასე ფიქრობს, როცა ჩვენი მთავრობა ჩვეულებრივ ზომებს იღებს, მას მაშინ მთავრობის არ ეშინია და პირიქით ყაჩაღები აშინებენ გადაწვით, გაძარცვით და დახოცვით რისთვისაც ამბობს „მთავრობა არ მსჯის, ყაჩაღები მსჯიანო" და როცა მთავრობა მკაცრ ზომებს იღებს, მაშინ მთავრობას ემხრობა და ყაჩაღებს აღარ ინდობს. ამიტომ ყაჩაღების ამოსაფხვრელათ საჭიროა სიმკაცრე, რომ ის ხალხმა არ დაფაროს.

ი. ქუტირელი.

## წერ. რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი: „ერთობის" 220 ნომერში ვინმე მეთვალყურე ეხება კოჯრის „სტოროჟების" „აუტანელ" პირობებს. როგორც წერილიდან სჩანს, მეთვალყურეს კარგათ არ უდევნებია თვალი „სტოროჟების" ცხოვრებისთვის, თორემ ასეთ რამეს არ დასწერდა. „სტოროჟებს".—ამბობს ის,—„ხაზეინები ავალებენ კედლების აშენებას, სახლის სახურავის, დახურვას და სხვა, რომ „ხაზეინებს" ოსტატის მოყვანა და ხარჯების გაწევა არ დასჭირდესო". ეს სიმართლეს არ შეეფერება. „სტოროჟებმა" რომ კალატოზობა, დურგლობა და სხვა ხელობა იცოდნენ, მაშინ ხომ თვეში თუმნათ (როგორც თითონ ამბობს) არ დადგებოდნენ. ერთი შევეკითხოთ მეთვალყურეს: თუ მართლა თვეში თუმანს იღებენ, როგორ ღა სცხოვრობენ? შეიძლება იფიქროთ, რომ „სტოროჟი" გარეთ დღიურ სამუშაოს შოულობს და იმით ირჩენს თავსაო; არც ეს იქნება მართალი. თუ კი „სტოროჟი" მეთვალყურის სიტყვით ხაზეინისთვის კალატოზობას და დურგლობას ეწევა, საიდან ექნება მოცლა, რომ სამუშაოს საძებნელათ აქა-იქ იაროს. მაშ რა აცხოვრებს მას? ნუ თუ ის მცირე ჯამაგირი, რომლითაც 1 გირვანქა პური ძლივს მოვა და სხვა არაფერი? და მართლაც, რომ ამ პირობებში იყოს, მაშინ ხომ სულ სიმშილით გაწყდებოდა.

საქმე იმაშია, რომ ყოველ „სტოროჟს" აქვს ხაზეინისაგან მიცემული ერთი ან ორი ოთახი უფასოთ. ზამთარში იქ არც ერთი ხაზეინი და დგმური არ სცხოვრობს, ასე რომ სექტემბრიდან მაისამდე „სტოროჟს" არავინ აწუხებს, მთელი აგარაკი იმის ხელშია. ასე რომ მართალი არ არის იმის თქმა, რომ „სტოროჟს" ოთახი არა აქვსო. სასწავლებელიც ოც წელიწადზე მეტია რაც არსებობს აქ. რაც შეხება აფთიაქს, ექიმს და საავადმყოფოს, ეს მართალია არის, მაგრამ ეს მაინცა და მაინც არ შეადგენს აუცილებლობას. უმეტესობა „სტოროჟების" ოჯახობისა სცხოვრობს ზამთრობით თფილისში და ბავშვებსაც აქ ასწავლიან, ზოგი კი ახლო-მახლო სოფლებში სცხოვრობს თავიანთ სახლში, თითონ კი ცისმარე დღე თფილისში დაიარება და რძითა ვაჭრობს. ყველა „სტოროჟს" ჰყავს ხუთი ძროხა, რძე ფასობს ჰქა 4 მ., თითო ძროხა იძლევა უკანასკნელ 20 ჰქას, დღეში 5 ძროხა 100 ჰქას იძლევა რაც თვეში შეადგენს 3,000 ჰქას. გარდა ამ შემოსავლისა სთესენ კართოფილს, ქერს, პურს, ეზიდებიან ტყიდან შეშას თფილისში, ზაფხულში ემსახურებიან ხელზე მოაგარაკეებს. და სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ ლუკმა-პურის საძებნელათ მოსული „სტოროჟი" დღეს კოჯორში უკვე საკუთარი სახლის პატრონია, ბევრს თფილისშიაც აქვთ სახლები, და თუ ეს ხალხი მომატებას მოითხოვს, რაღა ეთქმის სხვას.

ქართველი.

## „ფრონტის დღის" ანგარიში

(გაგრძელება იხილეთ „ერთობის" №№ 181, 190, 195, 223.)

1. ქალაქთა კავშირის მუშათა მოსამსახურეთაგან „ფრონტის დღის" სასარგებლოთ 735 მან.
2. სოკრატ ძიმისტარაშვილისაგან „ფრონტის დღის" სასარგებლოთ 737 მ.
3. სამხედრო სამინისტროს ფეხსაცმელების მუშებისაგან „ფრონტის დღის" სასარგებლოთ 1410 მან.
4. ბარბარე სემიონის ასული დარჩიაშვილისაგან „ფრონტის დღის" სასარგებლოთ 300 მან.
5. სახალხო გვარდიის ჰაუბიცის ბატარეისაგან დაჭრილ გვარდიელების სასარგებლოთ 1260 მან.

„ფრონტის დღის" მომწყობი მთავარი კომიტეტი დაბეჯითებით მოგმართავთ „ფრონტის დღის" გამმართველ პროვინციელ და ადგილობრივ კომიტეტებს, ვისაც არ გამოუგზავნია ფული და ანგარიში, დაჩქარონ გამოგზავნა შემდეგი მისამართით:

თფილისი სასახლე „ფრონტის დღის" მთავარ კომიტეტს ოთახი № 2. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით პრესას მივმართოთ.

კომიტეტი.

## განცხადებანი

შალვა ირაკლის ძე კავილაძემ 15 აგვისტოს

**დაჰკარგე**

საფულე, რომელშიაც იყო 15 თუმანი ფული, სწავლის მოწმობა და თფილისის სამხედრო უფროსისგან მოცემული მოწმობა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებისა 3 იანვრის 79 სტატ. მუხ. ძალით. მპოვნელს ვთხოვ მოწმობები უკან დამიბრუნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტებს გაუქმებულად ვაცხადებ. მისამართი: სასახლის ქუჩა, № 7. (2707—1—1)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა შ. ბ. [illegible]
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; [illegible] და წამლობა X სხივებით, დიდი სოლენოიდი და არსენალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს ფასიანით [illegible] დილის 8—12 საათამდე. და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი დ. ნ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი ა. ლევინშტეინი
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი ნ. დ. [illegible]
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალთა და საბებიო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

კბილის ექიმი
[illegible]-მხაკიანი
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

მედიცინის დოქტორი ა. ა. [illegible]
ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო სხივებით მკურნალობა [illegible]. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 [illegible]. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42.

დოქტორი [illegible]
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნაზერეფნაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

ექიმი ა. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914" მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოვ"-ს პირდაპირ № 116 ტელ. 14—28.

დოქტორი ი. ი. [illegible]
სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიაზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ- საღ. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 12 ტელეფონი 16—82.

ექიმი ბესარიონ [illegible]
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი ი. ჩიჯავაძის ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული ლაბორატორია
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროხეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოვაქცინას. 26 მაისის (ოლღის) ქუჩა. გაბაევის შესახვევი № 3. საღამო მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამართი: ოლღის ქუჩა № 33

ექიმი დ. ა. ხარაიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი მ. გოლდშტეინი.
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და საღ. 4—7 დე ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი ქალი ნ. ბ. [illegible]
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი ბ. ე. ქუთათელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
[illegible] შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ფარმაცევტთა პროფ. კავშირი ამით აცხადებს აფთიაქის შეგირდების საყურადღებოთ, რომ კავშირთან არსებულ

**მოსამზადებელ კურსებში**

მეცადინეობა დაიწყება 1 ნოემბერს.
ჩაწერა შეიძლება პროვიზორ ხაბურზანიასთან. ვილლარეტის აფთიაქში. (2690—1—1)

**სახალხო სახლი** (ზუბალაშვილისა)
ოთხშაბათს, 20 ოქტომბერს,
ქართ. სამუსიკო საზ—ბის და საქართ. კოოპერ. კავ—რის
**კაპელა**
დ. არაყიშვილის ლოტბარობით გამართავს
**კონცერტს.** (2—1)

იბეჭდება და პირველი ნოემბრისათვის გამოვა გასასყიდათ
საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა
**პირველი ყრილობის ოქმები**
წიგნი იქნება დაახლოვებით 80—100 გვერდი და ეღირება კავშირებისათვის 12 მან., კერძო პირებისათვის კი 15 მან. წიგნებას შეკვეთა შეიძლება მხოლოდ საქ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში: თფილისი, რუსთაველის ქ., № 15, არამიანცის სახლი, მეოთხე სართული, მე-10 ოთახში. (ნ. 5—3)